ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

მიქელაძე თამარ

პოლიტიკა - ადამიანური ხელოვნება

საჯარო მმართველობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის
აკადემიური ხასისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ბესიკ ბერიძე

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ხიჭაური 2020

ანოტაცია ქართულად

პოლიტიკა თავისი არსითა და შინაარსით ყოველთვის იწვევდა ადამიანებში ინტერესს. ამის ერთ ერთ მთავარ მიზეზს კი წარმოადგენს ის, რომ პოლიტიკა მჭიდრო კავშირიშია საზოგადოებასთან, რადგანაც ერთი განაპირობებს მეორეს და უაღრესად მნიშვნელოვანია მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება.

საზოგადოება არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პასიურ შემსრულებელს და მთავრობა ანგარიშვალდებული უნდა იყოს მათ წინაშე. პოლიტიკა ეს არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის ხელოვნება.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი შედგება: შესავლის, ოთხი თავისა და მასში არსებული ქვეთვებისაგან .

რაც შეეხება ნაშრომის მთავარ მიზანს- ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია პოლიტიკის, როგორც მეცნიერების , მისი არსისა და მის ირგვლივ არსებული ფუნდამენტური საკითხების შესახებ.

ნაშრომი ასევე შეიცავს დასკვნას, სადაც ვაჯამებთ მოცემულ ინფორმაციას და ვაკეთებთ ჩვენეულ დასკვნებს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

Annotation in Georgian

Politics in its essence and content has always aroused interest in people. One of the main reasons for this is that politics is closely linked to society, as one determines the other and the interdependence between them is extremely important.

The society should not be just a passive executor of the decisions made by the government and the government should be accountable to them. Politics is the art of governing society and the state.

This master's thesis consists of: introduction, four chapters and sub-chapters.

As for the main purpose of the paper - the purpose of the paper is to provide the reader with information about politics as a science, its essence and the fundamental issues around it.

The paper also contains a conclusion where we summarize the given information and make our own conclusions on the mentioned topic.

შესავალი

პოლიტიკა თავისი არსითა და შინაარსით ყოველთვის იწვევდა ადამიანებში ინტერესს. რადგანაც ეს არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის ხელოვნება. საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობა და მისგან გამომდინარე მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოებს , ხალხებს, ერებსა და სპციალურ ჯგუფებს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან.

გერმანიის კანცლერი ბისმარკი აღნიშნავდა, რომ : „პოლიტიკა არ არის მეცნიერება ეს ხელოვნებაა“. მართლაც პოლიტიკა უმთავრესად საზოგადოებრივი მოღვაწეობაა, ის ყოველთვის დიალოგია და არა მონოლოგი. იგი განუყოფლადაა დაკავშირებული ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა კონფლიქტი და თანამშრომლობა, ამიტომაც პოლიტიკის ძირითადი არსი ხშირად დაინახება კონფლიქტების დარეგულირების პროცესში. პოლიტიკა არის გზების ძიება კონფლიქტის მოგვარებისათვის.

პოლიტიკის შესწავლისას ასევე ერთ- ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენ მისი შესწავლის მიზანი თუ რატომ სწავლობენ? არსებობს პოლიტიკის შესწავლის ორი მიზანი პირადი ინტერესი და საზოგადოებრივი ინტერესი.

პირადი ინტერესი- ვინაიდან პიროვნული ბედნიერება ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ქმედით უნარიანობაზე, გვიჩნდება სურვილი შევისწავლოთ პოლიტიკური სისტემა, რათა უფრო მარტივად შევძლოთ სწორი გადაწყვეტილების მიღება თუ როდის უნდა დავუჭიროთ მხარი და როდის უნდა შევეწინააღმდეგოთ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ამა თუ იმ ქმედებასა თუ ცვლილებას.

რა შეიძლება საზოგადოებრივი ინტერესისათვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მოქალაქეთა მორალური ხასიათი და ქცევაა? სამოქალაქო საზოგადოებაზე აისახება უბრალო ხალხის მიერ მიღებული ყოველდღიური გადაწყვეტილებები და არჩევანი.

სწორედ პოლიტიკის დიდი მნიშვნელობა ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში განაპირობებს მოცემული თემის აქტუალობას.

რაც შეეხება ნაშრომის მთავარ მიზანს- ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია პოლიტიკის, როგორც მეცნიერების , მისი არსისა და მის ირგვლივ არსებული ფუნდამენტური საკითხების შესახებ. აქედან გამომდინარე აღნიშნულ თემაში განხილულია შემდეგი საკითები:

- პოლიტიკის ძირითდი არსი და განსაზღვრება
- პოლიტიკური სისტემა და მისი არსი
- მასმედიის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე
- მართვის ხელოვნების არსი და პოლიტიკური ლიდერები.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ქვეთავებისა და დასკვნისაგან.

პირველ თავში- განხლილულია პოლიტიკის , როგორც მეცნიერების არსი და მნიშვნელობა. ცნება „პოლიტიკა“ მისი მომდინარეობა და ცნობილი მეცნიერებისა თუ ისტორიკოსების გამოთქუმული მოასაზრებები პოლიტიკის შესახებ. გარდა ამისა ამ თავში განხილულია პოლიტიკის აქტუალობა ჩვენს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში.

მეორე თავში- განხილულია პოლიტიკური სისტემები და მისი არსი. რა არის ზოგადად პოლიტიკური სისტემა და როგორ ფუნქციონირებს იგი?

მესამე თავში- განხილულია მედიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი. მედიიის , როგორც მეოთხე ხელისუფლების მნიშვნელობა. გარდა ამისა ამ თავში განვიხილავთ თუ რამდენად დიდი როლი უჭირავს მედიას პოლიტიკურ საქმიანობაში .

მეოთხე თავში- განხილულია პოლიტიკის მართვის ხელოვნების არსი. პოლიტიკური ლიდერები და მათი ტიპები. გენდერული პოლიტიკა, რამდენად არიან ქალები ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში და გამოჩენილი ქალი პოლიტიკოსები , რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

სარჩევი

შესავალი----------5

თავი I. პოლიტიკის ძირითადი არსი და განსაზღვრება

1.1 პოლიტიკის ცნება

1.2 წესრიგი, ძალაუფლება, სამართლიანობა

1.3 პოლიტიკური კულტურა და ლეგიტიმურობა

თავი II. პოლიკური სისტემა და მისი არსი

2.1 საქართველოს პოლიტიკური სისტემა

თავი III. მედია და პოლიტიკა

3.1 მასმედიის როლი პოლიტიკაში

3.2 მასმედიის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე

თავი IV მართვის ხელოვნების არსი

4.1 პოლიტიკური ლიდერები და მათი ტიპები

4.2 ქალების ჩართულობა პოლიტიკურ საქმიანობაში

4.3 ქალები პოლიტიკაში კვოტებით თუ მის გარეშე

დასკვნა----------

გამოყენებული ლიტერატურა----------

თავი I. პოლიტიკის ძირითადი არსი და განსაზღვრება

1.1 პოლიტიკის ცნება

პოლიტიკა საკმაოდ საკამათო ცნებაა, რადგან მას საკმაოდ ბევრი მნიშვნელობა აქვს. იგი ადამიანთა საზოგადოების გაჩენისთანავე წარმოიშვა და იმ დროიდან მოყოლებული დღემდე ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

„პოლიტიკა“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „**polis**” (ქალაქი-სახელმწიფო) და **“techne”** (მეცნიერება) ნაერთია და სიტყვასიტყვით სახელმწიფოს მართვის მეცნიერებას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით, პოლიტიკა მოიცავს ყველა იმ იდეოლოგიასა თუ სტრატეგიას, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს მართვას და სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას.

ზოგადად პოლიტიკა საინტერესო საქმეა , რადგან მას სრულიად ქმნიან ადამიანები და საზოგადოება, ადამიანები კი სხვადასხვანაირები არიან, მათ შორის არ არის შეთანხმება, როგორ უნდა იცხოვრონ, ვინ რა უნდა მიიღოს საზოგადოებისგან, ვინ არის ძალაუფლების ღირსი და რა არის ზოგადად საზოგადოებრივი ცხოვრების ფუძე თანამშრომლობა თუ კონფლიქტი?..ადამიანები ხშირად ვერ თანხმდებიან იმაში, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ესა თუ ის საკითხები , როგორ უნდა იქნეს შემუშავებული

კოლექტიური გადაწყვეტილებები, ვინ და როგორ უნდა გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, როგორ შეუძლია ადამიანს იმოქმედოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ა. შ. არისტოტელეს თვალსაზრისით, ყველაფერი ეს პოლიტიკას „სამეფო მეცნიერებად „ აყალიბებდა , რასაც უნდა გაეუმჯობესებინა ცხოვრების დონე და შეექმნა ღირსეული საზოგადოება.

გერმანიის კანცლერი **ბისმარკი** აღნიშნავდა, რომ: „პოლიტიკა არ არის მეცნიერება ეს ხელოვნებაა“. მართლაც, პოლიტიკა უმთავრესად საზოგადოებრივი მოღვაწეობაა, ის ყოველთვის დიალოგია და არა მონოლოგი. იგი განუყოფლადაა დაკავშირებული ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა კონფლიქტი და თანამშრომლობა, ამიტომაც პოლიტიკის ძირითადი არსი ხშირად დაინახება კონფლიქტების დარეგულირების პროცესში. თუმცა ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ იგი გაგებულ უნდა იქნეს , როგორც კონფლიქტების გადაწყვეტა, არამედ პოლიტიკაა არის გზების ძიება მათი მოგვარებისათვის.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებაში არსებობს პოლიტიკის ვიწრო განსაზღვრება. ყოველივე ეს უფრო მეტად ვლინდება ყოველდღიურ მეტყველებაში. მაგ. ადამიანზე, რომელმაც დაიკავა სახელმწიფოს ესა თუ ის თანამდებობა, ჩვენ ვამბობთ: „პოლიტიკაში წავიდა“. მსგავსი მიდგომით გამოდის, რომ პოლიტიკა ეფუძნება მხოლოდ იმას რაც შიგ პოლიტიკაში ხდება. ასეთი გაგებით პოლიტიკა იქმნება მხოლოდ კაბინეტებში, სამთავრობო უწყებებში, მას განაგებენ ძალიან მცირე და განსაკუთრებული ჯგუფების ადამიანები, ხოლო ადამიანთა უმრავლესობა და ინსტიტუტების დიდი ნაწილი პოლიტიკის ჩარჩოებს მიღმა რჩება. ბიზნესი, ოჯახი , სკოლა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები, ყველანი აღინიშნებიან , როგრც არაპოლიტიკური სტრუქტურები და ისინი არაფრით არ არიან დაკავშირებული „ქვეყნის მართვასთან“.

ყოველგვარი ცდა უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ცნება „პოლიტიკა“ დაკავშირებულია ორი პრობლემის გადაწყვეტასთან.

პირველი- ეს ასოციაციების სიმრავლეა, მაშინ, როდესაც ტერმინები: ეკონომიკა, გეოგრაფია, ისტორია და ა.შ. საზოგადოებაში მიიჩნევა, როგორც სამეცნიერო დისციპლინები, ხოლო პოლიტიკა კი ხალხში სრულიად განსხვავებულ ასოციაციებს

აღძრავს. ხშირად გვესმის , რომ პოლიტიკა არის მიკერძოებული, ზოგიერთის თვალში პოლიტიკა უბრალოდ „ბინძური“ და „საეჭვო“ საქმეა, რომელიც ისეთ საქმეებთან არის დაკავშირებული, როგორიცაა ძალადობა, მაქინაციები, თვალთმაქცობა, ტყული და ა.შ. ცხადია აქ ახალი არაფერია. მაგალითად, ჯერ კიდევ 1775წ. ინგლისელი პოეტი და კრიტიკოსი **სამუელ ჯონსონი** ამბობდა, რომ : „პოლიტიკა მხოლოდ და მხოლოდ კარიერის გაკეთებაა ამ სამყაროში“.

მეორე უფრო რთული პრობლემა მდგომარეობს იმაში , რომ ყველაზე დიდი ავტორიტეტებიც კი ვერ შეთანხმებულან დღემდე იმაზე თუ რას წარმოადგნეს პოლიტიკის მეცნიერების საგანი და სხვადასხვა მეთოდებით განსაზღვრავენ მას. შეიძლება გამოიყოს ოთხი შეხედულება პოლიტიკაზე:

- პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს მართვის ხელოვნება
- პოლიტიკა , როგორც საჯარო პროცესი
- პოლიტიკა , როგორც კომპრომისი და კონსესუსი
- პოლიტიკა , როგორც ძალაუფლება და რესურსების გადანაწილება. [1]

გარდა ამისა პოლიტიკური მოღვაწეობა ხშირად ნეგატიურ ჭრილშია მოთავსებული პოლიტიკოსებს კი არც თუ ისე სახარბიელოდ იხსენიებენ. ყველა კარგად იცნობს მლიქვნელ პოლიტიკოს, რომელიც ხელისუფლებისაკენ ილტვის, მაგრამ არაფერი გააჩნია პირადი ამბიციების გარდა.ისინი საკუთარ ძალაუფლებას ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოროტად იყენებენ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. ეს მოსაზრება კარგად აისახა ლორდი აკტონის ცნობილ აფორიზმში: „ ყველანაირი ძალაუფლება რყვნის , აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად.

როგორ სწავლობენ პოლიტიკას? ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე ითვლება პოლიტიკური მეცნიერების მამამთავრად. ის არა მარტო წერდა პოლიტიკასა და ეთიკაზე, არამედ აღწერა სხვადასხვა პოლიტიკური წყობა და მათი კლასიფიკაციისა და შეფასების სქემაც დაგვიტოვა. იგი აღწერდა ასევე სახელმწიფოსაც. არისტოტელე თავის ნაშრომში „პოლიტიკა“ (ძვ. წ. 384-322) გამოთქვამდა მოსაზრებას სახელმწიფოს შესახებ. მისი აზრით, სახელმწიფოს წარმოშობა განპირობებული იყო იმით, რომ ადამიანებს გააჩნიათ მიდრეკილება თანაცხოვრებისაკენ, რომ ადამიანი პოლიტიკური არსებაა. ადამიანთა ასეთ მიდრეკილებას მივყავართ ოჯახის

წარმოშობამდე, ხოლო ოჯახისაგან წარმოიშობა სოფელი, სოფლისგან-სახელმწიფო. არისტოტელე გვთავაზობს სახელმწიფოს შემდეგ განმარტებას: ,,სახელმწიფო არის ოჯახებისა და გვარების კავშირი შექმნილი ბედნიერი, სრულყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა მოქალაქეთა ერთობლიობა. მოქალაქე არის ის, ვინც სახელმწიფოს პოლიტიკურ მოღვაწეობაში იღებს მონაწილეობას და სახელმწიფო, პოლისი და სამოქალაქო საზოგადოება ერთმანეთის სინონიმებია, ხოლო მათი საფუძველი მოქალაქეა.“ არისტოტელესათვის პოლიტიკური მეცნიერება უბრალოდ პოლიტიკურ ძიებას ნიშნავდა. ამიტომ, ამ დარგის მეცნიერი მისთვის არის ის , ვინც სისტემატური ძიების გზით პოლიტიკის ჭეშმარიტი ბუნების ამოხსნას ცდილობს. ამ თვალსაზრისით , პოლიტიკის შესწავლისადმი არისტოტელესეულ, 2000-ზე მეტი წლის წინანდელ მიდგომას , ბევრი საერთო აქვს იმასთან, რას აკეთებენ თანამედროვე პოლიტოლოგები . თუმცა, არისტოტელეს შემდეგ ამ დისციპლინამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. [2]

პოლიტიკის შესწავლისას ასევე ერთ- ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენ მისი შესწავლის მიზანი თუ რატომ სწავლობენ? არსებობს პოლიტიკის შესწავლის ორი მიზანი პირადი ინტერესი და საზოგადოებრივი ინტერესი.

 პირადი ინტერესი. ვინაიდან პიროვნული ბედნიერება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე , რას აკეთებს ან არ აკეთებს ხელისუფლება, ყველა ჩვენგანის ინტერესშია გავერკვეთ,როგორ მუშაობს ან რატომ ვერ მუშაობს იგი. პოლიტიკის შესწავლის გზით, უკეთ ვერკვევით პოლიტიკური სისტემის მიმართ დამოკიდებულებაში და ვიძენთ ცოდნას, რომელიც გვეხმარება გავაცნობიეროთ, როდის დავუჭიროთ მხარი და როდის დავუპირისპირდეთ ცვლილებებს. ამავე დროს, პოლიტიკის შესწავლა გვეხმარება განვსაზღვროთ, რამდენად შეგვიძლია დადებითი ზეგავლენა მოვახდინოთ მასზე. ყოველთვის გვაფხიზლებს იმის გააზრება, რომ თითოეული ჩვენგანი მხოლოდ ერთი პიროვნებაა მრავალმილიონიან ერში, რომელთა უმრავლესობას ჩვენზე არანაკლებ აქვს შესისხლხორცებული თავისი მოსაზრებები და ცრურწმენები.

საზოგადოებრივი ინტერესი. რა შეიძლება საზოგადოებრივი ინტერესისათვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მოქალაქეთა მორალური ხასიათი და ქცევაა?

სამოქალაქო საზოგადოებაზე აისახება უბრალო ხალხის მიერ მიღებული ყოველდღიური გადაწყვეტილებები და არჩევანი.

პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებობს გარკვეული შეუთანხმებლობა, რომლებიც სცილდება კონკრეტულ თემებს და მოიცავს ძირეულ საკითხებს, მაგალითად ისეტს ,როგორიცაა პოლიტიკის შესახებ "ჭეშმარიტი" მეცნიერების არსებობის შესაზლებლობა ან შეუძლებლობა. უნდა ცდილობდეს თუ არა პოლიტიკური მეცნიერება იწინასწარმეტყველოს მოვლენები ისე ზუსტად, როგორც ამას ქიმიკოსები და ფიზიკოსები აკეთებენ? უნდა წავუყენოთ , მივუსადაგოთ თუ არა პოლიტიკის მეცნიერებს იგივე სტანდარტები, რაც ვთქვათ მეტეოროლოგებს? იმისათვის, რომ გავიგოთ პოლიტოლოგებს შორის არსებული მრავალფეროვნება, თავდაპირველად განვიხილოთ ის , რასაც ჩვეულებრივ მეთოდოლოგიას უწოდობენ.

პოლიტოლოგთა კლასიფიკაციის არაერთი პრინციპი არსებობს. თუმცა შევჩერდეთ თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებულ ორ მიმართულებაზე: ტრადიციონალისტები ბიჰევიორალისტების, ხოლო პოლიტიკური ეკონომისტები მარქსისტების წინააღმდეგ.

ტრადიციული მიდგომა- პოლიტიკის ძირითადი ელემენტების ცოდნასთან ერთად, ტრადიციონალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შეფასებას. ისინი ცდილობენ შეაფასონ არა მხოლოდ ის, როგორ მუშაობს ესა თუ ის პოლიტიკა, პროცესი ან ინსტიტუტი, არამედ ისიც , რამდენად კარგად მუშაობს იგი გარკვეული ზნეობრივი თუ კანონიერი სტანდარტების გათვალისწინებით.

ბიჰევიორალისტური მიდგომა, ტრადიციონალისტურისაგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს პოლიტიკის ნორმატიულ საკითხებზე აკეთებს, მეტ ყურადღებას მეცნიერულ მეთოდს უთმობს. ტრადიციონალისტი პოლიტოლოგებისაგან განსხვავებით ბიჰევიორალისტები, ჩვეულებრივ ერიდებიან პოლიტიკის შესახებ მორალურ თუ ფილოსოფიურ შეფასებებს, რადგან მიაჩნიათ , რომ ასეთი შეფასებები არაფერია, თუ არა სპეკულაცია და მათი მეცნიერულად დასაბუტება შეუძლებელია. ბიჰევიორალისტი მეცნიერები უპირატესობას "ფაქტებზე" დაყრდნობას ანიჭებენ. ბიჰევიორალისტები იყენებენ მეცნიერულ მეთოდს, რომელიც კარგადაა ნაცნობი ისეთი დარგების მკვლევართათვის, როგორიცაა ბილოგია, ფიზიკა და ქიმის და

სვამენ ისეთ შეკითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ კვლევითი პროექტის შედგენის, ემპირიული მონაცემების შეგროვების, ჰიპოთეზის დასაბუთებისათვის საჭირო ექსპერიმენტების ჩატარების გზით.

კამათი ორ მიმართულებას ტრადიციონალისტებსა და ბიჰევიორალისტებს შორის, დღეს ნაკლებად ინტენსიურია ვიდრე ადრე იყო ხოლმე. ორივემ შესამჩნევი წვლილი შეიტანა პოლიტიკისა და მმართველობის შესწავლაში.

პოლიტიკური ეკონომია-. „ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური ცხოველია“ აღნიშნავდა არისტოტელე ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.მდე IV საუკუნეში . არისტოტელე ვარაუდობდა , რომ ადამიანი თავისი ბუნებით მიდრეკილია პოლიტიკური საქმიანობისადმი. ადამ სმითი კი გამუდმებით უსვამდა ხაზს ადამიანთა მისწრაფებას ეკონომიკური გაცვლის პროცესში მონაწილეობისაკენ. ხოლო ამ ორი უდიდესი მოაზრონის კვლევები და დაკვირვებები საფუძვლად დაედო მეცნიერებათა ორი სფეროს პოლიტოლოგიისა და ეკონომიკის აღმოცენებას. როგორც ვიცით, პოლიტოლოგია იკვლევს ადამიანის ქცევას საჯარო სფეროში, ეკონომიკა კი ადამიანის ქცევას ბაზარზე. შესაბამისად პოლიტოლოგია ეყრდნობა დაშვებას , რომ პოლიტიკური ადამიანი მისდევს საზოგადოებრივ ინტერესებს ეკონომიკა კი უშვებდა , რომ ყველა ადამიანს კერძო ინტერესები ამოძრავებს.

პოლიტიკური ეკონომია და მისი მეცნიერების დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბება 1950-1960 იან წლებში მოხდა,პოლიტიკური ეკონომიიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჰობსისა და სპინოზას ნაშრომებმა. ამ თეორიის მიმდევრები ეჭქვეშ დააყენეს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ეფექტიანობა. [11]

XX საუკუნის მიწურულს მოხდა ახალი კონცეპტუალური მიდგომის პოპულარობის ზრდა, რომელმაც მოგვიანებით **„ეკონომიკური იმპერიალიზმის“** სახელწოდება მიიღო.. „ეკონომიკური იმპერიალიზმის“ მთავარი იდეოლოგი და თეორეტიკოსი გახდა ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი **გერი ბეკერი.** მისი მთავარი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი თავის საზოგადოებრივ ქცევაში ხელმძღვანელობს, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მოსაზრებებით. ეს ეხება ისეთ საკითხებს , როგორიცაა ქორწინება, ოჯახის შექმნა, სწავლა, პროფესიის არჩევა და ა.შ. ბეკერი

თვლიდა, რომ ეკონომიკურ შეფასებას ექვემდებარება ასევე მრავალი ფსიქოლოგიური მოვლენაც, როგორიცაა, მაგალითად, მატერიალური კეთილდღეობით დაკმაყოფილება, დაუკმაყოფილებლობა, შური, ალტრუიზმი, ეგოიზმი და ა.შ. სწორედ ბეკერის დამსახურებით თეორიული ეკონომიკა გახდა არა მეცნიერული დისციპლინა , რომელიც მეცნიერული ცოდნის სხვა სფეროებისგან გამოირჩევა თავისი საგნით, არამედ ადამიანის ქცევის მრავალფეროვანი ფორმების შესწავლის უნივერსარული მეთოდი, რომელსაც შეიძლება სხვადასხვა მეცნიერული მიმართულებების ინტეგრირება. [11]

როგორც უკვე ავღნიშნე პოლიტიკის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოლიტიკურმა ეკონომიამ და ამასთან ერთად მარქსიზმა. **მარქსიზმი** ეს არის კარლ მარქსის მიერ დაარსებული ფილოსოსფიური და იდეოლოგიური მიმართულება. მარქსიზმი სათავეს იღებს კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის ფილოსოფიური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის შრომებიდან, რომელთა მთავარი მთავარი თემაა კაპიტალიზმის კრიტიკა. ეს კრიტიკა სისტემატური სახით მოცემულია მარქსის ცნობლ ნაშრომში *Das Kapital*. კომუნიზმი ემყარება მარქსიზმის იდეებს. როგორც ფილოსოფიური მიმართულება მარქსიზმი ეფუძნება მატერიალიზმს. [13]

მარქსიზმი , როგორც იდეოლოგია სამუდამოდაა დაკავშირებული მემარცხენე ტოტალიტარიზმთან, ყოფილ საბჭოთა კავშირში სტალინისტური ხანისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების ნაირსახეობებთან, მაგრამ არსებოსბ მარქსის იდეების გამოყენების განსხვავებული გზაც. მეცნიერები არაკომუნისტურ ქვეყნებში მიიჩნევს, რომ ანალიზის მარქსისეული კატეგორიები სასარგებლოა პოლიტიკურ- ეკონომიკური პროცესების ახსნისას. ამ მეცნიერთაგან ზოგიერთს შეიძლება ჰქონდეს პირადი პოლიტიკური დღის წესრიგი ანუ იდეოლოგიური მოტივები მაგრამ უკიდურესად არამეცნიერული იქნებოდა, ყოველივე სოციალისტურის მიმართ ბრმა რწმენის გამო, დემოკრატიული კაპიტალიზმის მარქსისეული კრიტიკის იგნორირება.

ბევრ ქვეყანაში მარქსიზმა, როგორც საშინაო ასევე საგარეო დონეზე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პოლიტიკის ეკონომიკისა და საზოგადოების შესწავლაზე.

ასევე პოლიტიკაში ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგნეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. თუ როგორ ან რა გზით მიიღება ისინი. ზოგადად პოლიტიკა განიხილება , როგორც კონფლიქტების მოგვარების საშუალება . კომპრომისების, მოლაპარაკებებისა და სხვა საშუალებების გზით , რომელიც გამორიცხავენ ძალის გამოყენებას სწორედ ეს კონცეფცია აქვთ მხედველობაში , როცა ამბობენ: „პოლიტიკა არის შესაძლებლოების ხელოვნება“. როდესაც ლაპარაკია პრობლემის „პოლიტიკური“ გზით გადაწყვეტაზე. კერძოდ კი სამშვიდობო მოლაპარაკება „ძალოვან“ ან „სამხედრო“ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

პოლიტიკას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ მის ძირითად დეფინიციაზე შეიძლება ვერც კი შევთანხმდეთ... მიუხედავად ყოველივე დეფინიციათა სიმრავლისა ჩვენ მაინც ყოველთვის ვხვდებით როდის გვაქვს საქმე პოლიტიკასთან.. ისევე როგროც ცოდნის ნებისმიერ სხვა სფეროს, პოლიტიკურ მეცნიერებასაც აქვს საკუთარი ტერმინები და ენა. ამ ენის შესწავლას მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონის მქონე „სამი პატარა სიტყვით“ - წესრიგი , ძალაუფლება და სამართლიანობა დავიწყებთ.

1.2 წესრიგი, ძალაუფლება, სამართლიანობა

წესრიგი

არსებობს რამოდენიმე დონის წესრიგი. პოლიტიკური გაგებით წესრიგი აღნიშნავს იმ სტრუქტურებს, წესებს , რიტუალებს, პროცედურებსა და ჩვეულებებს , რომლებიც პოლიტიკურ სისტემას შეადგენენ. იგი დაფუძნებულია საზოგადოებრივი წყობილების საძირკველზე. ზუსტად რა არის საზოგადოება? საზოგადოება, როგორც მას თანამედროვე კონტექსტში ვიყენებთ, მჭიდრო კავშირშია სიტყვა თემთან ან ერთობასთან, რომელიც საერთო იდენტობის პირთა გაერთიანებაა.

თემის მოწყობა, შენარჩუნება და დამკვიდრება მართველობის საშუალებით ხდება. **მთავრობა** ანუ ხელისუფლება ქმნის სავალდებულო წესებს, რომელთა საშუალებით მართავს საზოგადოებას. როგორ შეიძლება მსოფლიოში მმართველობის მრავალგვარი ფორმების კატეგორიებად დაყოფა? ტრადიციულად სახელმწიფოები

იყოფა **რესპუბლიკებად,** სადაც სუვერენიტეტი საბოლოოდ ხალხის ხელშია და სახელმწიფოებად, სადაც სუვერენიტეტი მმართველთა ხელშია- მონარქიად ან ტირანიად. დღეისათვის თითქმის ყველა რესპუბლიკა დემოკრატიული რესპუბლიკაა, რაც ნიშნავს იმას , რომ ძალაუფლება არჩეული წარმომადგენლების ხელშია, რომელნიც ხალხის წინაშე არიან პასუხისმგებელნი.

თანამედროვე მსოფლიოში, სახელმწიფო არის სუვერენიტეტის ერთადერთი ადგილსამყოფელი. სუვერენული სახლმწიფო არის საზღვრებით მკაფიოდ შემოფარგლული მთლიანონა, რომელსაც ერთი ხელისუფლება განაგებს. პოლიტიკურად სახელმწიფოს იგივე მნიშვნელობა აქვს , რაც ქვეყანას.

რაც შეეხება ერს. ერი შედგება ადამიანთა განსხვავებული ჯგუფებისაგან, რომელთაც აერთიანებს საერთო წარსული და შემდეგ ჩამოთვლილ ნიშან-თვისებათაგან ყველა ან ერთი მაინც. გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორია, რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილება, რელიგია, ენა, კულტურა დ ა.შ.

ამ ჩამონათვალის სათავეში გეიგრაფიული მდებარეობა იმ მიზეზით მოხვდა, რომ ერთი ერის წარმომადგენლებს , როგორც წესი, ახასიათებთ კუთვნილების ძლიერი კოლექტიური გრძნობა, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ გეოგრაფიულ ტერიტორიასთან, და ეს ტერიტორია იმდენად მნიშვლევანია მათთვის , რომ მზად არიან მის შესანარჩუნებლად საჭიროების შემთხვევაში მოკვდნენ კიდეც.

ერები ერთმანეთისაგ განსხვავდებიანა წარსულისა და ჰომოგენურობის ანუ ერთგვაროვნების მიხედვით. ქვეყნები, რომლებსაც შედარებით ერთგვაროვანი მოსახლეობა ჰყავს, ძირითადად ევროპაში გვხვდება. მაგალითად პოლონეთი ძალიან ჰომოგენური ერია, ისევე როგორც სკანდინავიური ქვეყნები(დანია , შვედეთი , ნორვეგია). უფრო არაერთგვაროვანია დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ნიდერლანდები.

აშკარაა, რომ **ერი- სახელმწიფოს** , როგორც იდეის და როგორც იდეალის ფესვები, კონკრეტულ დროში და ადგილას უნდა ვეძიოთ: ეს ახალი დროის ევროპის, განსაკუთრბით კი დასავლეთ ევროპის ისტორიაა. იგი ნაკლებაბ მიესადაგება მსოფლიოს სხვა რეგიონებს, სადაც სუვერენული სახელმწიფოების პოლიტიკური საზღვრები ხშირად არ ემთხვევა ეთნიკურ და კულტურულ საზღვრებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეთნიკური ,რელიგიური თუ ტომობრივი დაჯგუფებები, რომლებიც

ტრადიციულად ერთმანეთს ძლიერ ემტერებოდნენ, აღმოჩნდნენ ახალ „სახელმწიფოში“, რის შედეგადაც მივიღეთ არასტაბილურობისა და სამოქალაქო ომების მაღალი რისკის მქონე საზოგადოებები.

არგუმენტის გასაძლიერებლად შეგვიძლია განვიხილოთ ნიგერიის მაგალითი. 1967 წელს ნიგერია გააფთრებულ სამოქალაქო ომში ჩაიძირა, რომლის დროსაც ერთი დიდი ეთნიკური ჯგუფი იბო წარუმატებლად შეეცადა ქვეყანას გამოყოფოდა და დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნა.

და ბოლოს არსებობენ **სახელმწიფოს არმქონე ერები** , მაგალითად პალესტინნელები და ქურთები. მათ საერთო იდენტობის ან თემის გრძნობა აქვთ, მაგრამ სამშობლო არ გააჩნიათ. სახელმწიფოს გარეშე მათი არსებობა ქმნის ძალზე არამდგრად სიტუაციას,რაც ყველაზე აშკარად ახლო აღმოსავლეთში ჩანს.[1]

ძალაუფლება

მთვრობებისა და მათი ლიდერების უნარი შეიმუშავონ, მიიღონ და ცხოვრებაში გაატარონ წესები, გავლენა იქონიონ ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევაზე, შეადგენს ძალაუფლებას. მის გარეშე ხელისუფლება ვერ შეინარჩუნებს მშვიდობას, ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, ვერ მისცემს სტიმულს ეკონომიკურ ზრდას და ვერ გაატარებს ეფექტიან პოლიტიკას. თუმცა პოლიტიკური ძალაუფლების შედეგიანი გამოყენება გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ფიზიკური ძალის გამოყენების უნარს. მართლაც, არსებობს ძალაუფლების მრავალი და განსხვავებული წყარო. დამაჯერებელი საარჩევნო მანდატი, ორატორული ნიჭი, სიმდიდრე ან რეპრესიული საიდუმლო პოლიცია ყველა ეს ძალაუფლების განსხვავებული წყაროა.რა თქმა უნდა რაც უფრო მეტი ძალაუფლების წყარო არსებობს მით მეტია მთავრობის შესაძლებლობები.

ზოგადად ვის ხელშია ძლაუფლება და გამოიყენებენ თუ არა ძალაუფლებას ეფექტიანად? ეს საერთო კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი საკითხებია. ამიტომ კითხვა " ვინ მართავს?" ხშირ შემთხვევაში ძალზე საკამათო პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს. ხანდახან პასუხი ძალზე მარტივია, საკმარისია ჩაიხედო ქვეყნის კონსტიტუციაში და გაეცნო მისი ხელისუფლების ქმედებებს. თუმცა შესაძლოა რთული იყოს იმის გამოვლენა, რეალურად ვინ მართავს. "ვინ მართავს?" და

"რამდენად ეფექტიანად" ამ კითხვებთან ერთად , არანაკლებ მნიშვნელოვანია კითხვა: უპყრია თუ არა მმართველს პოლიტიკური ძალაუფლება კანონიერად.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ერთმანეთს დავუკავშიროთ ორი ცნება: ძალაუფლება და ავტორიტეტი. ინგლისურ ენაში შესაბამისი ტერმინები ხანდახან სინონიმურადაც კი იხმარება. ძალაუფლება და ავტორიტეტიპოლიტიკური ხელისუფლების ორ სხვადასხვა განზომილებას აღნიშნავს. მაო ძედუნმა, ჩინეთის კომუნისტმა ლიდერმა, ერთხელ თქვა, რომ ძალაუფლება თოფის ლულიდან მომდინარეობს. ეს სწორია, მაგრამ ამასთანავე ძალზე გადაჭარბებულიც. პოლიტიკური ძალაუფლება ნაწოლობრივ, მართლაც გამომდინარეობს იძულების ინსტრუმენტების(პოლიცია, უშიშროების სამსახური, ჯარი) ფლობიდან, მაგრამ არა მხოლოდ აქედან. ის შეიძლება ემყარებოდეს სიმდიდრეს, პიროვნულ ქარიზმას, იდეოლოგიას, რელიგიას , ან თუნდაც კერძო პირის თუ ჯგუფის მორალურ ავტორიტეტს მოცემულ საზოგადოებაში.

ხელისუფლება, როგორც ავტირიტეტით აღჭურვილის ძალაუფლება გულისხმობს ლეგიტიმურობას; მდგომარეობას , როცა ძალაუფლების გამოყენება მისდევს გარკვეულ ინსტიტუტებს და წესებს, ხოლო ადამიანები მათ იძულების გარეშე ემორჩილებიან და სამართლიანად და სწორად მიიჩნევენ. აქვე უნდა აღვნიშნოთ , რომ ეს განსაზღვრება სულაც არ გულისხმობს, რომ დემოკრატია მმართველობის ერთადერთი ლეგიტიმური ფორმაა. პირიქით , მონარქია ან დიქტატურის სხვა ნაირსახეობააც შეიძლება ლეგიტიმური იყოს.

ზოგადად , მმართველობისთვის ყოველთვის ჯობია, ჰქონდეთ საზოგადოების მხარდაჭერა, ვიდრე არ ჰქონდეთ. ეს პრინციპი მიეყენება არა მხოლოდ დემოკრატიებს, არამედ დიქტატურებსაც, თუნდაც იმიტომ, რომ ხანგრძლივი რეპრესიები საკმაოდ ძვირი ჯდება. ცხადია, რომ თუ ხალხი პატივს სცემს თავის მმართველებს და იძულების ან ძალის გამოყენების მუქარის გარეშე ემორჩილება დადგენილ წესებს, საზოგადოებაში წესრიგის და სტაბილურობის შენარჩუნება გაცილებით ადვილდება . მეტიც , დათრგუნული, უკმაყოფილო და დაჩაგრული ადამიანები საკმარისად მოტივირებული და ნაყოფიერი მუშაკებიც ვერ იქნებიან- წინა საუკუნეში სწორედ ეს აღმოჩნდა ბევრი დიქტატურის აქილევსის ქუსლი.

აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტური წყობის დამხობა დიდწილად ამ ფაქტორმაც განაპირობა. [1]

სამართლიანობა

იმის გამო, რომ მართულები ყოველთვის მმართველებზე მეტნი არიან, წარმოიქმნება განსხვავებული, არცთუ იშვიათად დაპირისპირებული მოსაზრებები ხელისუფლების პოლიტიკის ან პროგრამების სამართლიანობის შესახებ. ხშირად ამტკიცებენ, რომ მოქალაქეთა ერთი ნაწილის დანარცენ ნაწილზე ბატონობა მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ხელსაყრელია . აქედან გამომდინარე ძალაუფლების განხორციელება სამართლიანობის საკითხის მეშვეობით უნდა იქნეს გაწონასწორებული. ძალაუფლება სამართლიანად , მართულთა ინტერესების დაცვით ხორციელდება თუ მხოლოდ მმართველთა სასარგებლოდ გამოიყენება? 2000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, პოლიტიკის დამკვირვებლები განასხვავებენ პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენებას, ერთი მხრივ საჯარო, ხოლო, მეორე მხრივ, პირადი ინტერესებისათვის. ეს ადასტურებს, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლიანობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სამართლიანობის საკითხის დასმის საშუალებას ყველა სახელმწიფო არ იძლევა. მართლაც, თუკი ისტორიას გადავავლებთ თვალს , სახელმწიფოთა უმრავლესობა სწორედ ასე იქცეოდა . დღესაც კი, ზოგიერთი მთავრობა სასტიკად და თანამიმდევრულად დევნის პოლიტიკურ დისკუსიებსა და დებატებს, რადგან ეშინია, რომ თუკი საზოგადოების ყურადღება სამართლიანობის და საზოგადო სიკეთის ძირითად საკითხებზე შეჩერდება, არსებული პოლიტიკური წყობის ლეგიტიმურობა შეიძლება საფრთხეში აღმოჩნდეს.

სამართლიანობას ხშირად იმის მიხედვით განსაზღვარევ, რამდენად იცავს მთავრობა ინდივიდის უფლებებს. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ის უფლებებია, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეს, ეჭვი შეიტანოს მთავრობის ქმედების სამართლიანობაში.

მოქალაქეებს პოლიტიკური უსამართლობის შესახებ საკუთარი მოთხოვნების გაცხადება მრავალი გზით , მათ შორის დემონსტრაციებისა და საპროტესტო აქციების სასუალებით შეუძლიათ და ისტორიაში ამის მრავალი ფაქტი არსებობს. [1]

1.4 პოლიტიკური კულტურა და ლეგიტიმურობა

პოლიტიკური კულტურა ეს არის საზოგადოების პოლიტიკური ქცევის მოდელი, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ორიენტაციების ერთობლიობა, სულიერი კულტურის ორგანული ნაწილი და პოლიტიკური სისტემის აუცილებელი ელემენტი.

ქვეყანაში პოლიტიკური კულტურადემოკრატიის სიჯანსაღის განმსაზღვრელია. მისი განვითარების დონე ფაქტობრივად განსაზღვრავს საზოგადოების დემოკრატიზაციის ხარისხსა და პოლიტიკური რეჟიმის ხასიათს. სწორედ ამიტომ მისი სისუსტეების დადგენა მნიშვნელოვანი საკითხია. პოლიტიკური კულტურის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე გამოცდილების მქონე ქვეყნებში , რადგანაც სწორედ მცირეხნიანი და სუსტი სუსტი დემოკრატია არის პოლიტიკური კულტურის განვითარების დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზი.

ტერმინი პოლიტიკური კულტურა პირველად გვხვდება XVIII ს-ში გერმანელი განმანათლებლის **ი. ჰერდერის** შრომებში, ხოლო მისი მეცნიერული ცნება, როგორც პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილისა , შემოიტანა ამერიკელმა პოლიტოლოგმა **გ. ალმონდმა** 1956 წელს დაწერილ სტატიაში " შედარებითი პოლიტიკური სისტემები". დღეისათვის არსებობს პოლიტიკური კულტურის ათეულობით განსაზღვრება. ესგასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, კულტურის ფენომენის სირთულესა და მრავალფეროვნებას, ხოლო მეორე მხრივ იმას, რომ საზოგადოებათმცოდნეები სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე იკვლევენ პოლიტიკური კულტურის სტრუქტურულ ელემენტებსა და ფუნქციებს.

ხშირად მოგვისმენია ფრაზა ,რომ ქართველ ერს არ გააჩნია პოლიტიკური კულტურა , ამაზე კამათობენ მაგრამ ხშირ შემთხვევაში არ იცინ რომ არ არსებობს მსოფლიოში არცერთი სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია მაიდენტიფიცირებელი პოლიტიკური

აქტივიზმი. თუ ჩვენ სახელმწიფოებს დავყოფთ მაღალი და დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონეებად საქართველო, ქვეყანა რომელმაც გაიარა რუსეთის გუბერნიობისა და საბჭოთა კავშირის ეპოქა და მხოლოდ 20 წელია რაც დგას ტრანზიციის ეტაპზე ,სამწუხაროდ უნდა მივაკუთვნოთ დაბალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნების რიცხვს. შესაბამისად მნიშვნელოვან ფაქტებზე გვერდის ავლა იქნება ჩვენი ერის პოლიტიკური კულტურის არმქონედ შერაცხვა. მოკლედ ,გვინდა არ გვინდა და რამდენიც არ უნდა ვამტკიცოთ დიახ, ჩვენ გვაქვს პოლიტიკური კულტურა , მაგრამ დაბალი დონის.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ რომ ქართველ ხალხს სულაც არ აქვს დაბალი პოლიტიკური კულტურა და რომ ეს ბუნებრივი მახასიათებელი ნიშაა , რადგან ამ ერმა საკმაოდ დიდი და მტკივნეული გზა გამოიარა იმამდე რომ მოეღწია და დარჩენილიყო სუვერენულ სახელმწიფოდ თანამედროვე მსოფლიოში..ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იგი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში,როდესაც ჩაიკეტა ევროპულ ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი ყველა კომუნიკაცის საშუალება და შეწყდა ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესი და მეოცე საუკუნის 20 იანი წლებიდან მოყოლებული მან გადაიტანა საბჭოთა კავშირის ეპოქა,რომელმაც ჩვენ დაგვაშორა დემოკრატიულ პროცესებს და თანამედროვე სახელმწიფოთა განვითარების ტემპს ჩამოგვტოვა.. დიდი ხნით სახლემწიფოებრიობის არ ქონა სახელმწიფოსაგან გაუცხობეას იწვევს, რაც მრავალი პრობლემის სახით შემოუბრუნდა კიდეც ჩვენს ქვეყანას და ხელს უშლის სახელმწიფოებირვი მშენებლობისა და დემოკრატიული განვითარების საქმეს.

ყველა ზემოთნახმესები ფაქტების გათვალისწინებით უნდა ითქვას რომ სააქართველოში 21 საუკუნეში ჩვენ განვიცდით პოლიტიკური კულტურის დეფიციტს. მიუხედავად იმის რომ ახალი ძალები გამუდმებით ცდილობენ შემოიტანონ ახალი მუხტი , შემართება და სხვადახვა სახით ცდილობენ სამოქალაქო კულტურის განვითარებას,დღეს თანამედროვე სოციალური ცხოვრება მაინც საჭიროებს მეტი ყურადღების მიქცევას.ის ფაქტირომ ამომრჩეველი პასიურია ქვეყნის მთავარ მოვლენებთან მიმართებაში, იქნება ეს არჩევნები ,რეფერენდუმები პლებისციტები, სამოქალაქო კამპანიები, მშვიდობიანი აქციები თუ სხვა ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიზაციისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, არ სურს

პასუხისმგებლობის აღება და წვლილის შეტანა ქვეყნის განვითარებაში, სამწუხაროდ მიდის ზემოთ წარმოჩენილი ჰიპოთეზის აღიარებამდე.გვინდა ჩვენ ეს თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, უნდა ჩავუღრმავდეთ პრობლემებს და ვაღიაროთ მათი არსებობა, რათა ჩვენ ჩევძლოთ მომავალში მათი გამოსწორება და სახელმწიფოს განვითარება სწრაფი ნაბიჯებით განვაგრძოთ. საჭიროა მოქალაქეების გამოცოცხლება მათი ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში, რათა მოსახლეობა იმყოფებოდეს მუდმივი ტონუსის მდგომარეობაში და არ უშინდებოდეს სიახლეებს.დღეს როდესაც ჩვენ ვცდილობთ პრობლემის გამართლებას ისტორიულ ფაქტორებზე დაყრდნობით , წარსულზე მუდმივი მიჯაჭვულობა და სპეკულირება ჩვენ არ მოგვცემს შედეგების გაუმჯობესების საშუალებას, სწორედ ამიტომ საჭიროა მთლიანი შემართებით ახალი მიდგომების დანერგვა და პრობლემათა არა სტატიების დონეზე გაანალიზება არამედ სტრატეგიულიგეგმების შემუშავება და მოქმედება. [7]

წარსულის მოაზროვნეები პოლიტიკის განხილვისას აღიარებდნენ, რომ საზოგადოებისათვის დიდ როლს თამაშობენ ღირებულებები და ხალხის რწმენა, თუმცა ამას პოლიტიკურ კულტურას არ უწოდებდნენ. ბერკი ბევრს წერდა ტრადიციებზე, მარქსი- იდეოლოგიაზე და ა.შ. მაგრამ ყველანი ერთად თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ღირებულებეს და ხალხის ტრადიციებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოებრივი წყობის სტაბილურობისათვის და სიცოცხლისუნარიანობისათვის.

პოლიტოლოგთა ინტერესი პოლიტიკური კულტურის იდეის მიმართ წარმოიშვა 1950-1960 იან წლებში. ამსფეროში კლასიკურ ნაშრომად იქცა **ალმონდის** და **ვერბას "სამოქალაქო კულტურა"** რომელიც 1963 წელს გამოქვეყნდა. ნაშრომი ცდილობდა აეხსნა თუ რატომ განიცადეს კრიზისი მსოფლიო ომების პერიოდში იტალიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების თითქოს და სრულიად დემოკრატიულმა მთავრობებმა და რატომ მიიკვლევს დემოკრატია გზას ასეთი წვალებით.

შემდგომ პერიოდში ინტერესი პოლიტიკური კულტურისადმი ოდნავ დაეცა, მაგრამ 1990 იან წლებში, როდესაც დაიწყო კომუნიზმის ნგრევა აღმოსავლეთ ევროპაში და დემოკრატიული ქვეყნების შენება, ამას მოჰყვა მყარ დემოკრატიულ ქვეყნებში მაგალითად ამერიკაში ლაპარაკი "სოციალური კაპიტალის კრიზისზე" და სამოქალაქო აქტიურობის დაცემაზე. გამწვავდა დისკუსიები იმაზე, რომ ხომარ

ხდებოდა პოლიტიკური კულტურის ფორმირება ელიტალური ჯგუფების იდეებით და ინტერესებით და თუ როგორ როლს თამაშობს საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და რა დონეზე შეუძლია სახელმწიფოს მანიპულირება პოლიტიკური კომუნიკააციით დღეს.

ხალხის წარმოდგენები და ღირებულებები პოლიტიკაზე ასევე იმ სახელმწიფოებრივ წყობილებაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, მოცემულია მათსავე ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე ყოველთვის წამოიჭრება კითხვები სამართლიანია თუ არა ეს წყობა და რამდენად აქვს მას არსებობის უფლება? პოლიტოლოგები ყოველთვის საუბრობენ რეჟიმის ლეგიტიმურობის პრობლემაზე, რა არის ლეგიტიმურობა? იგი ლათინური სიტყვაა და კანონიერად გამოცხადებას ნიშნავს. ფართო გაგებით ნიშნავს კანონიერებას , სწორობას, სამართლიანობას. ეს არის ის ძალაუფლება , რაც ორგანოებს აძლევს ავტორიტეტს საზოგადოების თვალში. ლეგიტიმურობა ეს არის პოლიტიკური სტაბილურობის და სიცოცხლისუნარიანობის გასაღები, რეჟიმის არსებობის გარანტია.

ლეგიტიმურის კონცეფცია ხელისუფლებასა და სამართალს შორის არსებულ ურთიერთობას მოიცავს. ის ხაზს უსვამს სახელმწიფოს უფლებამოსილებას, ანუ იმას, რაც უფლებას აძლევს სახელმწიფოს, განახორციელოს ხელისუფლება თავისი მოქალაქეების მიმართ. თავისუფალი, რეგულარული არჩევნები და თავისუფალი პრესა ლეგიტიმური მმართველობის არსებობის გარანტიაა. არადემოკრატიული რეჟიმები ხშირად ცდილობენ მოჩვენებითი ლ-ის შექმნას დაპყრობითი ომების, ეკონომიკური პროგრამების, კორუფციასა და დამნაშავეობის წინააღმდეგ გამართული კამპანიების მეშვეობით.

ლეგიტიმურობა

რაც შეეხება ლეგიტიმურობის პრობლემატიკას ,ლეგიტიმურობის პრობლემატიკა, რომელიც, ტრადიციულად, პოლიტიკური ფილოსოფიის დიდი ზრუნვის საგანი იყო, მაქს ვებერიდან დაწყებული, დომინანტობისა და ძალაუფლების პრობლემატიკასთან დაკავშირებული სოციოლოგიური რეფლექსიების ცენტრში იმყოფება. მისი ძირითადი შეკითხვა შემდეგში მდგომარეობს: რატომ ემორჩილებიან ადამიანები კანონებს და რატომ სცემენ პატივს ინსტიტუტებს? ლეგიტიმურობა, წერს ჟანმარკ

კუაკოდი „მმართველობის უფლების აღიარებასთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ, ლეგიტიმურობა ცდილობს ფუნდამენტური პოლიტიკური პრობლემის გადაჭრას, რომელიც ერთდროულად პოლიტიკური ძალაუფლებისა და მორჩილების გამართლებაში მდგომარეობს“ (1997 წ, გვ. 13). ფიზიკური შეზღუდვა, რომელიც კანონის დაცვისთვის შეიძლება გამოიყენონ, საკმარისი არაა პოლიტიკური სისტემის ხანგრძლივობის უზრუნველსაყოფად.

როგორც რუსომ აღნიშნა, კანონიერების დაცვა ხანგრძლივი რომ იყოს, ის თავისი მნიშვნელობის აღიარებას უნდა ეფუძნებოდეს. ამგვარად, ინსტიტუტების ავტორიტეტი მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ისინი ლეგიტიმურადაა აღქმული არსებული საზოგადოების წევრების ან, ყოველ შემთხვევაში, მისი უმრავლესობის მიერ. ლეგიტიმურობა ემყარება პოსტულატს, რომლის მიხედვით, ორგანიზაციისა და შედეგების ორმაგ კავშირში განხილული წესები და ინსტიტუტები წესრიგისა და სამართლიანობის პრინციპებს აკმაყოფილებენ. პროცესები, რომელთა მეშვეობით ეს აღიარება მიიღწევა კომპლექსურია. ეს უკანასკნელი შეიძლება მომდინარეობდეს ინდივიდებში ნეგატიური გრძნობების აქტივაციიდან, როგორიცაა შიში ან სირცხვილი დადგენილი სოციალური ნორმების არდაცვის შემთხვევაში, ან პოზიტიური გრძნობებიდან, როგორიცაა კმაყოფილება ან სიამაყე იმოქმედო ხელისუფლების განკარგულებების შესაბამისად.

ლეგიტიმურობა შეიძლება მომდინარეობდეს თავად ძალაუფლების საფუძვლების რწმენებიდან, რომლებიც, ვებერის ტიპოლოგიის თანახმად, მიკუთვნებულია ხან კანონებისთვის (რაციონალური და კანონიერი ხასიათის ლეგიტიმურობა), ხან საკრალურად მიჩნეული წესებისთვის (ტრადიციული ხასიათის ლეგიტიმურობა), ხან კი მეთაურისთვის (ქარიზმატული ხასიათის ლეგიტიმურობა). ის ასევე შეიძლება მომდინარეობდეს სახელისუფლო ინსტიტუტების მიერ შექმნილი იდეოლოგიური კონცეფციებიდან, რომელთა დანიშნულებაა ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევის ორიენტირება ჩამოყალიბებულ სოციალურ ნორმებთან მიმხრობის მნიშვნელობით. როგორიც არ უნდა იყოს პროცესები, რომელთა მეშვეობითაც ლეგიტიმურობა მიიღწევა, ძალაუფლების მპყრობელთ არ შეუძლიათ წესრიგისა და სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა საკუთარი ავტორიტეტის შელახვის რისკის გარეშე. ამ პრინციპების პირველობა წარმოჩნდება იმ ფაქტით, რომ თავად

რაციონალური ხასიათის ლეგიტიმურობა კანონიერებას არ ემთხვევა: მთავრობას შეუძლია კანონების გამოცემა, შემდგომში მათი დაცვის იძულება ლეგიტიმურად მიჩნევის გარეშე, თუკი მისი ქმედება უსამართლოდაა აღქმული სოციალური ჯგუფების მიერ.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პრინციპები, რომლებიც ნებისმიერ პოლიტიკურ ქმედებას მართავენ, აბსოლუტური არაა და ფარულ წინააღმდეგობებს შეიცავენ. ამ პრინციპების განსაზღვრამ სხვადასხვა პოლიტიკური ანგაჟირება შეიძლება გამოიწვიოს, ანტითეზურიც კი. ეს ნიშნავს, რომ ლეგიტიმურობა არ არსებობს თავის თავად: ის გამოიხატება ძალაუფლებასა და მორჩილებას შორის დიალექტიკურ ურთიერთობაში. ეს უკანასკნელი შეიძლება ნაკლებად არსებობდეს, როდესაც პოლიტიკურ ხელისუფლებას უნარი არ შესწევს მართულთა მოლოდინები დააკმაყოფილოს წესრიგისა და სამართლიანობის სფეროში. ქარიზმა, თუკი ვებერის მაგალითს მოვიშველიებთ, მმართველისთვის დამახასიათებელ თვისებებამდე არ დაიყვანება: ის მეთაურსა და მის მიმდევრებს შორის არსებული ურთიერთობის შედეგია. გარდა ამისა, ერთობის ნორმები და პრაქტიკა სწრაფად იცვლება კრიზისის დროს. მთავრობის ავტორიტეტი შეიძლება ეფემერული აღმოჩნდეს, მაშინაც კი როდესაც ის ფორმალურად თავის დამფუძნებელ პრინციპებს იცავს. მართლაც, იშვიათი არაა, როდესაც კონსტიტუციური რეჟიმი დამხობილია, რადგან მას უნარი არ შესწევს უპასუხოს საზოგადოების ყველაზე მებრძოლი ჯგუფის მოთხოვნებს. [8]

  პოლიტიკური სისტემის ან რეჟიმის ლეგიტიმურობის პრობლემა, ან შეკითხვა იმაზე, იღებს თუ არა ეს საზოგადოება ამა თუ იმ რეჟიმს, როგორც კანონიერს, სამართლიანს და ა.შ თავდაპირველად დავიწყოთ იქედან რა არის ლეგიტიმურობა და მისი პრობლემატიკა.

ძველ და მთავარ თემასთან- ესაა პოლიტიკური ვალდებულება. პრობლემა მიდის უბრალო კითხვამდე: რატომ არიან მოქალაქეებივალდებულნი აღიარონ სახელმწიფოს ძალაუფლება? არის თუ არა ასეტი მიდგომა სახელმწიფოსადმიდა მისი კანონებისადმი დამორჩილება- ხალხის მოვალეობა? თანამედროვე პოლიტიკურ დისკუსიებში ლეგიტიმურობა ესმით არა იმდენად, როგორც მორალური ვალდებულებების პრობლემა, რამდენადაც კითხვა, თუ რატომ უნდა გააკეთონ მათ ეს.

ლეგიტიმურობის პრობლემის, როგორც სოციოლოგიური მოვლენის კლასიკური გამოკვლევა, დაიწყო მაქს ვებერმა. ვებერი ცდილობდა "ბატონობის სისტემის" კლასიფიცირებას და სურდა აეხსნა ის საფუძვლები, რომლების განსაზღვრავენ ამ სისტემის ლეგიტიმურობას. მან პოლიტიკური ძალაუფლების მრავალფეროვანი ბუნება მიიყვანა "იდეალურ ტიპებამდე". ესიდეალური ტიპებია:

- ძალაუფლება,რომელიც ეყრდნობა ტრადიციებს- ტრადიციული ძალაუფლება.
- ძალაუფლება, რომელიც ეყრდნობა ქარიზმას- ქარიზმატული ძალაუფლება.
- ძალაუფლება , რომელიც ეყრდნობა კანონს - სამართლებრივი ძალაუფლება.

თითოეული ამ სამიდან ფლობს პოლიტიკური ლეგიტიმურობის საკუთარ ბუნებას და წყაროს.

პოლიტიკური ლეგიტიმურობის პირველი ტიპი ვებერის მიხედვით, დაფუძნებულია ისტორიულ ადათ წესებზე და ტრადიციაზე, ტრადიციული ბატონობა მიიჩნევა , როგორც ლეგიტიმური, იმიტომ რომ ის არსებობდა ისტორიულად. მას აღიარებდნენ წინა თაობები, როგორც წესი ასეთი ძალაუფლება ეყრდნობოდა კონკრეტულ ნორმებს, ადათ-წესებს , რომელსაც არ სჭირდებათ დასაბუთება, რადგან ისინი არსებობენ უხსოვარი დროიდან. ტრადიციული ძალაუფლების დამახასიათებელ ჩვევებს ჩვენ ვპოულობთ თემებში, ან პატარა ჯგუფებში, სადაც ის არსებობს პატრიარქატის ფორმით(უფროსების ავტორიტეტული ბრძანებლობა).

ლეგიტიმურობის მეორე ტიპი ეს არის ქარიზმული ბატონობა. აქსაუბარია ავტორიტეტზე, იმ ბატონობაზე, რომელიც თითქოს და თავისით წარმოიშვება ძლიერი პიროვნებისაგან, მისი ქარიზმიდან. ქარიზმატული ძალაუფლება, რომელიც სრულად არ არის დაკავშირებული სტატუსთან, საზოგადოებრივ მდგომარეობასთან, ან სახელმწიფოს იერარქიულ ადგილთან, ფუძნდება ლიდერის თვისებებზე რათა თავისკენ მიიზიდოს ხალხი: ისტორიულად ასეთ ძალაუფლებას ფლობდნენ ისინი, ვისშიც ხედავდნენ გმირებს ან წმინდანებს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი ისტორიის პოლიტიკური ლიდერები: დე გოლი, კენედი, ტეტჩერი, ფლობდნენ ასეთი ავტორიტეტის გარკვეულ ელემენტებს.

ვებერის პოლიტიკური ლეგიტიმურობის მესამე ტიპი-რაციონალურ სამართლებრივი, ასოცირდება მკვეთრად განსაზღვრულ წესებით, რომელიც

წარმოდგენილია სამართალში, კანონში.ეს ძალაუფლება დამახასიათებელია ბევრი თანამედროვე სახელმწიფოსათვის. პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, ან ნებისმიერი სხვა მაღალი რანგის ოფიციალური სახის უფლებამოსილებას საბოლოოდ ყოველთვის აქვს თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული, ფორმულირებული კონსტიტუციური ნორმები, რომლებშიც დაწერილია რისი უფლება აქვთ და რისი არა. ამ თანამდებობების პირებისათვის, ამ ძალაუფლების ფორმის უპირატესობა ისაა, რომ ის დაკავშირებულია "ადგილთან" და არა "ადამიანებთან".

II თავი : პოლიტიკური სისტემა და მისი არსი

რა არის ზოგადად პოლიტიკური სისტემა და როგორ ფუნქციონირებს იგი? მოკლედ განვიხილოთ მისი ტიპოლოგია, ფუნქციონირება და ზოგადად პოლიტიკური სისტემის თეორიის ჩამოყალიბება.

მუდმივად ხდება საზოგადოების განვითარება , რაც სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით მიმდინარეობს. რთულდება ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთკავშირები, იცვლება ადამიანთა მოთხოვნილებები და შესაბამისად ჩნდება მათი დაკმაყოფილების ახალი სახეები. თუ როგორ რეაგირებს საზოგადოება ამ მუდმივად ცვალებად გარე და შიდა პირობებზე, აქტუალურია, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ყოველივე ამას პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს . პოლიტიკური სისტემის კონცეფცია მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ როლს ასრულებს თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში. სისტემის ცნება, ერთის მხრივ, საშუალებას იძლევა დავინახოთ პოლიტიკური ცხოვრება მთლიანობაში, მეორეს მხრივ კი საშუალებას იძლევა, გავაანალიზოთ პოლიტიკის ურთიუერთქმედება გარემოსთან. ამგვარად წარმოდგენილი პოლიტიკური სისტემა გვეხმარება, ვიპოვოთ საზოგადოების სტაბილური მდგომარეობის ვარიანტები.

ასევე ძალიან საინტერესო საკითხს წარმოადგენს ის თუ რატომ შემოიტანეს პოლიტიკურ მეცნიერებაში „პოლიტიკური სისტემის“ ცნება.

პოლიტიკურ მეცნიერებაში „ პოლიტიკური სისტემის“ ცნება შედარებით ახალია და იგი, XX საუკუნის 50-60 იან წლებში იქნა შემოტანილი და მისი შემოტანით ხაზი ესმებოდა პოლიტიკის სისტემურ ხასიათს. მანამდე, ხელისუფლებითი ურთიერთობების აღწერისას, გამოიყენებოდა ცნებები: „მმართველობის ტიპი“, ან „მმართველობის სისტემა“. პოლიტიკა დაიყვანებოდა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაზე. გარკვეულ ეტაპამდე მსგავსი ახსნა რეალობას ასახავდა, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებამ, დამოუკიდებელი პიროვნებების ჩამოყალიბებამ, შექმნა ახალი რეალობა- მოქალაქე არა მარტო ემორჩილებოდა სახლემწიფოს, არამედ ზეგავლენასაც ახდენდა მასზე, რისთვისაც ქმნიდა პოლიტიკურ ორგანიზაციებს. კერძოდ კი, პარტიებს, მოძრაობებს და ა.შ.

ხელისუფლება აღარ იყო სახელწიფოს მონოპოლია, ხოლო ხელისუფლებითმ აურთიერთობებმა უფრო რთული ხასიათი შეიძინა, რადგანაც მასში უკვე მონაწილეობდნენ არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სისტემური მიდგომების დამკვიდრებას პოლიტიკურ მეცნიერებაში.

პოლიტიკური სისტემის კატეგორიას რიგი უპირატესობებისა აქვს, „სახელმწიფოსა“ და „მართვის“ კატეგორიებთან შედარებით- ის თავისუფალია „სახელმწიფოს“ თანმხლები სამართლებრივი მნიშვნელობებისაგან, შესაძლებლობას იძლევა, ღრმად შევისწავლოთ არაფორმალური სტრუქტურები, რადგანაც „მართვა“ ხშირად იგივდება ფორმალურ ინსტიტუტებთან.

სისტემური მეთოდების პროტოტიპად შეიძლება მივიჩნიოთ არისტოტელეს მიერ, „პოლიტიკაში“ ბერძნული ქალაქების კონსტიტუციების შედარება. არისტოტელე, ჰობსი, პლატონი საზოგადოებას ადარებდნენ ცოცხალ ორგანიზმს და მას მთლიან და მოწესრიგებულ ფენომენად მიიჩნევდნენ.

„სისტემის“ ცნება XX საუკუნის 20-იან წლებში სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანმა გერმანელმა ბიოლოგმა **ლუდვიგ ფონ ბერტალანფიმ (1901–1972),** უჯრედის გარემოსთან გაცვლის პროცესების აღსანიშნავად. იგი სისტემას განიხილავდა მთლიანობად, ერთმანეთზე დამოკიდებული ელემენტების სახით. ერთმანეთზე დამოკიდებულება ნიშნავს, რომ სისტემის ერთი ელემენტის შეცვლის შემთხვევაშიც კი იცვლება მთლიანობა.

სისტემური ანალიზის თანახმად, ნებისმიერ სისტემას , მათ შორის პოლიტიკურსაც, აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- სისტემა შედგება მრავალი ნაწილისაგან.
- ნაწილები შეადგენს ერთ მთლიანობას.
- სისტემას აქვს საზღვრები.
- ცვლილება ერთ ნაწილში იწვევს ცვლილებებს , სხვადასხვა ნაწილებშიც.

სისტემა შედგება ელემენტებისაგან . სისტემის შესწავლა ნიშნავს მისი ელემენტების დადგენას. ყოველი სისტემა შეიძლება განვიხილოთ ქვესისტემის სახით. სისტემურობა გულისხმობს გარკვეულ იერარქიულობას, ანუ სხვადასხვა დონის სისტემების შეხამებას. სისტემა უბრალოდ ელემენტების ნაკრებს არ წარმოადგენს, მათ შორის გარკვეული კავშირებია. რაც უფრო მეტია ელემენტები და მათ შორის კავშირები მით უფრო რთულია სისტემა.

სისტემის ცნება, საზოგადოების მიმართ პირველად გამოიყენა **ტალკოტ პარსონსმა (1902-1979**) , რომელმაც ნაშრომში **„სოციალური სისტემა“ (1952)** საზოგადოება წარმოადგინა ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ქვესისტემის ურთიერთქმედების სახით:

- ეკონომიკის
- პოლიტიკის
- სოციალურის
- სულიერის.

თითოეული ქვესისტემა რეაგირებს შიგნიდან და გარედან მომდინარე მოთხოვნებზე და თითოეული მათგანი ასრულებს გარკვეულ ფუნქციას. ხოლო ერთობლივად კი ეს ქვესისტემები უზრუნველყოფენ საზოგადოების ფუნქციონირებას მთლიანობაში.

ასე მაგალითად:

- ეკონომიკური ქვესისტემა უზრუნველყოფს საქონელზე ადამიანების მოთხოვნილებების რეალიზაციას.
- პოლიტიკური ქვესისტემის ფუნქციაა კოლექტიური მიზნების განსაზღვრა, რესურსების მობილიზება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.
- სოციალური ქვესისტემა უზრუნველყოფს არსებული ცხოვრების წესის მდგრადობას, საზოგადოების ახალი წევრებისათვის იმ ნორმების, წესებისა და

ფასეულობების გადაცემას, რომლებიც მათი ქცევის მოტივაციის მნიშვნელოვან ფაქტორებად იქცევიან.

- სულიერი ქვესისტემა ახორციელებს საზოგადოების ინტეგრაციას, მის ელემენტებს შორის სოლიდარობის დამყარებასა და შენარჩუნებას.

პოლიტიკურ სისტემას გარკვეული სტრუქტურა აქვს შედგება მდგრადი ელემენტების და ამ ელემენტებს შორის მდგრადი კავშირებისაგ. პოლიტიკურ სისტემას შეიძლება ჰქონდეს რთული ან მარტივი სტრუქტურა. ეს დამოკიდებულია მასში შემავალ ინსტიტუტებზე, სისტემის ელემენტების დიფერენცირებისა და სპეციალიზაციის ხარისხზე, პოლიტიკაში როლების დანაწილების დონეზე. ტრადიციული პატრიარქალური ტიპის პოლიტიკური სისტემები სუსტი დიფერენცირებით ხასიათდებიან, თანამედროვე პოლიტიკური სისტემები კი უაღრესად რთული დიფერენცირებით გამოირჩევიან.პოლიტიკური სისტემის სტრუქტურულობა გამოიხატება არა მხოლოდ მისი ძირითადი ნაწილების ამოცანების დიფერენცირებაში, არამედ მათ იერარქიულობაშიც. გამოიყოფა:

- მეგადონე - სახელმწიფო მმართვის ცენტრალური აპარატი
- საშუალო დონე- რეგიონალური და მუნიციპალური ხელისუფლება.
- მიკროდონე- პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მონაწილეობა. პირველი ორი დონისგან განსხვავებით, ესაა არაინსტიტუტიზებული დონე. პოლიტიკური სისტემის მიკროდონეზე ხდება საზოგადოების პოლიტიკური და არაპოლიტიკური სფეროების ურთიერთშეღწევა, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთკავშირი.

პოლიტიკური სტრუქტურები მოიცავს სხვადასხვა ორგანიზაციას, როგორც საკუთრივ პოლიტიკურს – სახელმწიფოს, პოლიტიკურ პარტიებს, ისე არაპოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციებს, რომლებიც შეიძლება მიზნად ისახავდნენ სერიოზულ პოლიტიკურ ინტერესებს, მაგალითად: პროფკავშირები,მეწარმეთა გაერთიანებანი, ეკლესია და სხვ. [5]

როგორც უკვე ითქვა ,პოლიტიკური სტრუქტურები – ეს არამხოლოდ ორგანიზაციებია, არამედ მდგრადი ურთიერთობებიცაა, პოლიტიკის სხვადასხვა მონაწილეთა – პოლიტიკის აქტორების ურთიერთქმედება, რომლებიც გარკვეულ

როლებს ასრულებენ. პარლამენტარები, მოსამართლეები, ამომრჩევლები და ა. შ. ეს ყველაფერი როლებია, რომლებიც პოლიტიკაში ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და შეადგენენ პოლიტიკური სისტემის სტრუქტურას. ამრიგად,პოლიტიკური სისტემა – ესაა როლების მქონე სტრუქტურათა მდგრადი ურთიერთქმედება.

პოლიტიკური სისტემა, როგორც უკვე ითქვა, ქვესისტემებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან კავშირშია და უზრუნველყოფს საჯარო ხელისუფლების ფუნქციონირებას. მეცნიერები ასეთი ქვესისტემების სხვადასხვა რაოდენობას ასახელებენ. ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით შეიძლება გამოიყოს შემდეგი ქვესისტემები:

- **ინსტიტუციური ქვესისტემა-** მოიცავს სახელმწიფოს, პოლიტიკურ პარტიებს, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მათ შორის ურთიერთობას. ისინი მთლიანობაში ქმნიან საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციას. ამ ქვესისტემაში ცენტრალური ადგილი სახელმწიფოს განეკუთვნება. თავის ხელში რესურსების დიდი ნაწილის კონცენტრირებით, კანონიერ ძალადობაზე მონოპოლიის ფლობით, სახელმწიფოს ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს, ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე. მოქალაქეებისათვის სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა მას შესაძლებლობას აძლევს, სოციალურ ცვლილებებს მისცეს მიზანშეწენილობა, გონივრულობა, ორიენტაცია საყოველთაოდ მნიშვნელოვანი ინტერესების გამოსახატავად.ამავე დროს, მართებული არ იქნებოდა პოლიტიკური პარტიების, ინტერესთა ჯგუფების როლის შეუფასებლობაც. მათი ზეგავლენა სახელმწიფო ხელისუფლებაზე მნიშვნელოვანია. ასევე დიდი მნიშვნელობა, აქვთ ეკლესიასა და მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს, რომელთაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით კი შეუძლიათ ზეწოლის მოხდენა მთავრობასა დაპოლიტიკურ ლიდერებზე.
- **ნორმატიული ქვესისტემა-** მოიცავს სამართლებრივ, პოლიტიკურ, მორალურ ნორმებსა და ფასეულობებს, ტრადიციებს, ადათ-ჩვევებს. მათი

მეშვეობით პოლიტიკური სისტემა მარეგულირებელ ზემოქმედებას ახდენს ინსტიტუტების მოღვაწეობაზე, მოქალაქეთა ქცევაზე.

- **ფუნქციური ქვესისტემა-** ესაა პოლიტიკური მოღვაწეობის მეთოდები, ხელისუფლების განხორციელების ხერხები. ის პოლიტიკური რეჟიმის საფუძველია.
- **კომუნიკაციური ქვესისტემა-** მოიცავს პოლიტიკური ურთიერთქმედების ყველა ფორმას, როგორც სისტემის შიგნით (მაგალითად, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის), ისე სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ სისტემებთან.

პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა

ინსტიტუციური ქვესისტემა	მოიცავს საზოგადოების პოლიტიკურ ინსტიტუტებს
კომუნიკაციური ქვესისტემა	უზრუნველყოფს კავშირს პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ელემენტს შორის.
ნორმატიურლი ქვესისტემა	განსაზღვრავს პოლიტიკური საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას
ფუნქციური ქვესისტემა	პოლიტიკური მოღვაწეობის მეთოდები, ხელისუფლების განხორციელების ხერხები,რაც შეადგენს პოლიტიკური რეჟიმის საფუძველს.

პოლიტიკურ მეცნიერებაში სისტემური მიდგომის ფუძემდებელია **დევიდ ისთონი (1917-2014),** რომლის ნაშრომებშიც **"პოლიტიკური სისტემა" (1953)** და **„სისტემური ანალიზი პოლიტიკური ცხოვრებისათვის" (1965)** პოლიტიკური სისტემის მთავარი დანიშნულებაა საზოგადოების ხელთ არსებული რესურსებისა და ფასეულობების განაწილება. გარდა ამისა პოლიტიკური ფუნქციონირება უნდა არწმუნებდეს

მოქალაქეებს სისტემის სამართლიანობაში, რადგანაც ადამიანები საზოგადოებაში სხვადასხვა სისტემისა და ქვესისტემების სუბიექტები არიან. ისინი სხვადასხვა როლს ასრულებენ მრავალფეროვან სისტემებში.

სისტემური მიდგომა პოლიტიკისადმი:

- საშუალებას გვაძლევს, პოლიტიკა წარმოვიდგინოთ მთლიანობის სახით, გავაანალიზოთ მისი ურთიერთქმედება გარემოსთან.
- საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ პოლიტიკა ადამიანთა ქცევისა და საქმიანობის სისტემის სახით.

სისტემური თეორია ურთიერთქმედების პროცესებს სამ ციკლად ყოფს:

1. შესვლა (INPUT)
2. კონვერსია (CONVERSION)
3. გარდაქმნა და გამოსვლა (OUTPUT)

რაც შეეხება პოლიტიკური სისტემის საზღვრებს, მას შეუძლია , როგორც გაფართოება, ასევე შევიწროება. პოლიტიკურ სისტემაში ადამიანები, პირველ რიგში, ასრულებენ მოქალაქეების, ქვეშერდომების, ამომრჩევლების როლს. არჩევნების დღეს პოლიტიკური სისტემის საზღვრები ფართოვდება, მასში ამომრჩეველთა უშუალო შეჭრით. ომის დროსაც პოლიტიკური სისტემის საზღვრები ფართოვდება, რადგანაც მრავალი ადამიანი ჩაბმულია სამხედრო სამსახურში, სახლემწიფო იწყებს ეკონომიკის რეგულირებას, დამატებით ზომებს იღებენ საშინაო უსაფრთხოებისათვის და ა.შ.

სისტემური მიდგომა

სისტემის ნიშნები	✓ სისტემა შედგება ცალკეული ელემენტებისაგან. ✓ ყველა ელემენტი ერთმანეთთანაა დაკავშირებული, შეადგენს მთლიანობას, რომელიც არ

	დაიყვანება მის ნაწილებზე. ✓ ნებისმიერ სისტემას აქვს გარემოში გავრცელების საზღვრები
გარემოსთან ურთიერთქმედება	• იმპულსების შესვლა გარემოდან. • ინფორმაციის გარდაქმნა (კონვერსია) სისტემის შიგნით. • გამოსვლა – სისტემის რეაქცია მიღებულ იმპულსებზე.

ზოგადად , თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში არ არსებობს, პოლიტიკური სისტემის საყოველთაოდ მიღებული უნივერსალური განსაზღვრება. უფრო მეტიც, არსებობს 20-მდე სხვადასხვა განსაზღვრება და თითოეულს უნივერსალურობის პრეტენზია აქვს. საზოგადოების პოლიტიკური სისტემა – ესაა სამართლისადა სხვა სოციალური ნორმების საფუძველზე მოწესრიგებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფო ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება და ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლება.

პოლიტიკური სისტემა ასოცირდება საზოგადოებაში დაკანონებულ ფიზიკურ იძულებასთან. ყველა სისტემაში ხაზგასმულია პოლიტიკური სისტემის კანონიერი უფლება:–დასაჯოს, აიძულოს და დაიმორჩილოს. პოლიტიკურ სისტემას აქვს ოთხი მახასიათებელი, რომლებითაც განსხვავდება სხვა სოციალური სისტემებისგან . ესენია :

1. უნივერსალურია, რადგანაც ზემოქმედებას ახდენს მთელ საზოგადოებაზე.
2. ახორციელებს სრულ კონტროლს ფიზიკურ და სხვა სახის იძულებაზე.

3. პოლიტიკური სისტემის უფლება. გამოიტანოს საყოველთაოდ სავალდებულო გადაწყვეტილებები, მიიჩნევა ლეგიტიმურად.
4. პოლიტიკური სისტემის გადაწყვეტილებები ავტორიტეტულ-ხელისუფლებითია და ლეგიტიმურობის გამო დიდია ალბთობა იმისა, რომ ადამიანები მას დაემორჩილებიან.

პოლიტიკურ სისტემას გარკვეული კომპონენტები აქვს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია მისი არსებობა. პირველ რიგში ესაა პოლიტიკური გაერთიანება – **ერთობლიობა ადამიანებისა,** რომლებიც პოლიტიკური იერარქიის სხვადასხვა საფე-ხურზე დგანან, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან გარკვეული პოლიტიკური კულტურით, პოლიტიკისა და ქვეყნის ისტორიის ცოდნით, ტრადიციებითა და ფასეულობითი ორიენტაციებით, აგრეთვე გარკვეული გრძნობებით პოლიტიკური სისტემისა და მმართველობის მიზნების მიმართ;

მეორე კომპონენტია **თანამდებობის პირები,** რომელთა გადაწყვეტილებებიც პოლიტიკურ საზოგადოებას სავალდებულოდ მიაჩნია. თანამდებობის პირები თანამდებობრივი პოსტების პერსონიფიცირებას ახდენენ, ისინი პოლიტიკური ხელისუფლების საფუძველს შეადგენენ, მართავენ და მოქმედებენ სისტემის სახე-ლით და მის სასარგებლოდ. არსებობს თანამდებობის პირთა ორი ფენა:

1. თანამდებობის პირები, რომელთაც პოსტები უკავიათ ზოგად სისტემურ იერარქიაში. ესენია: პრეზიდენტი, მთავრობის მეთაური, მინისტრები, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურები და ა.შ.
2. პირები (შუამავლები), რომელთაც აკისრიათ სპეციალური პროფილის აღმასრულებელი სამუშაო– ე.ი. მოხელეები, რომლებიც მიუდგომლად უნდა მართავდნენ, ზუსტად და ნებაყოფლობით ასრულებდნენ ბრძანებებს, განკარგულებებს და კანონის შესაბამისად ემსახურებოდნენ სახელმწიფო ინტერესს.

რაც შეეხება , პოლიტიკური სისტემის არსს, პოლიტიკური სისტემა- ესაა განსაკუთრებული რეალობა, რომელიც თავისებურად განსხვავდება საზოგადოების სხვა სისტემებისგან და ვითარდება საკუთარი ლოგიკის შესაბამისად. პოლიტიკური სისტემის მეშვეობით ხორციელდება ხელისუფლება საზოგადოებაში, მიიღება ყველასათვის სავალდებულო გადაწყვეტილებები.

პოლიტიკური სისტემა ორიენტირებულია საზოგადოებაში ფასეულობათა ავტორიტეტულ განაწილებაზე, ამასთან, ისეთი სახით, რომ მიღწეულ იქნეს ინტერესთა ბალანსი და შენარჩუნდეს სისტემის მთლიანობა. პოლიტიკური სისტემის ყოველი სუბიექტი ცდილობს თავისი ინტერესების რეალიზებას პოლიტიკური ხელისუფლების მექანიზმის დახმარებით, მაგრამ ამას აკეთებს სისტემური ინტეგრაციის კონტექსტში.

პოლიტიკური სისტემის მიერ საერთო მიზნების მიღწევა ხდება ისეთ პირობებში, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტები განსხვავებულ და ხშირად საპირისპირო მიზნებს ისახავენ,როდესაც რეალური უთანასწორობა არსებობს პოლიტიკური რესურსების კონტროლსა და პოლიტიკური გავლენის განაწილებაში. საერთო მიზანი, საერთო ინტერესი არ ჩნდება სახელმწიფო მოხელეთა ან პოლიტიკური ელიტის სურვილების მიხედვით. ესაა პოლიტიკურ გავლენათა ურთიერთქმედების შედეგი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მოთხოვნათა შორის მიღწეული რთული კომპრომისი.

დევიდ ისთონმა სისტემა განიხილა „ შავი ყუთის“ სახით. კერძოდ კი იგი ხორციელდება პრინციპით: **„შესვლა“** (ინგლ. *input*) და **„გამოსვლა“** (ინგლ. *Output*). ეხლა კი უფრო ვრცლად განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა) ***შესვლა: მოთხოვნები და მხარდაჭერა***

მოთხოვნები:

დევიდ ისთონი განასხვავებდა „ შესვლის“ ორ ტიპს: მოთხოვნასა და მხარდაჭერას. მოთხოვნა შეიძლება განისაზღვროს როგორც მიმართვა ხელისუფლების ორგანოებისადმი საზოგადოებაში ფასეულობათა სასურველ ან არასასურველ განაწილებათა თაობაზე. დ. ისთონი გამოყოფდამოთხოვნათა შემდეგ სახეებს:

- ✓ მოთხოვნები, რომელიც ეხება დოვლათისა და მომსახურებათა განაწილებას, ხელფასსა და სამუშაო დროს, განათლების მიღების პირობებს, სამედიცინო და სხვა მომსახურებებს.
- ✓ მოთხოვნები, დაკავშირებული ქცევის რეგულირებასთან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კონტროლი წარმოებასა და ბაზარზე და ა.შ.
- ✓ მოთხოვნები კომუნიკაციისა და ინფორმაციის სფეროში, პოლიტიკური ინფორმაციის მიწოდების, პოლიტიკური ძალის გამოყენების თაობაზე და ა.შ.

მხარდაჭერა

პოლიტიკურმა სისტემამ მუშა მდგომარეობა რომ შეინარჩუნოს, მას, მოთხოვნების გარდა, მხარდაჭერა სჭირდება. მხარდაჭერა ნიშნავს პოლიტიკური სისტემის გაძლიერებას. მხარდაჭერის გამოვლენის ფორმები ძალზე მრავალფეროვანია: გადასახადები წესიერი გადახდა, სამხედრო მოვალეობის შესრულება, სახელისუფლო ინსტიტუტების პატივისცემა, პოლიტიკური ხელმძღვანელების მხარდაჭერა, პატრიოტიზმი, ხელისუფლების მხარდასაჭერად დემონსტრაციების ჩატარება და ა.შ მხარდაჭერა უზრუნველყოფს ხელისუფლების ორგანოების შედარებით სტაბილურობას; მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური საზოგადოების წევრებს შორის თანხმობის უზრუნველსაყოფად. პოლიტიკურ სისტემაში მხარდაჭერის ძირითად ობიექტებად. ისთონი ასახელებდა პოლიტიკურ რეჟიმს, ხელისუფლებას და პოლიტიკურ საზოგადოებას. ობიექტების შესაბამისად, იგი გამოყოფდა მხარდაჭერის სამ ტიპს:

1. **რეჟიმის მხარდაჭერა** – ესაა მდგრადი მოლოდინების ერთობლიობა, მხარდაჭერა იმ პრინციპებისა და ფასეულობების (თავისუფლება, პლურალიზმი, საკუთრება და ა. შ.), რომელთაც ემყარება პოლიტიკური სისტემა, ხელისუფლების ნორმები (კონსტიტუციური, სამართლებრივი და ა.შ.) და სტრუქტურები.
2. **ხელისუფლების მხარდაჭერა** – ე.ი. ყველა ფორმალური და არაფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების მხარდაჭერა ,მაგალითად, ქარიზმატული ლიდერებისა, რომლებიც ხელისუფლებით ფუნქციებს ახორციელებენ;
3. **პოლიტიკური საზოგადოების მხარდაჭერა** – ე.ი. იმ ადამიანთა ჯგუფისა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან პოლიტიკური შრომის განაწილებით.

რა შედის პოლიტიკური სისტემის ფუნქციებში შესვლისას? შემავალ ფუნქციებს ახორციელებს სხვადასხვა არასამთავრობო ასოციაცია: ინტერესთა ჯგუფები, პოლიტიკური პარტიები,მასმედიის დამოუკიდებელი საშუალებები. „გამომავალ“ ფუნქციებს ასრულებენ სახელმწიფო სტრუქტურები. ესაა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების პრეროგატივა.„ „შესვლისას“ პოლიტიკური სისტემა ასრულებს პოლიტიკური სოციალიზაციისა და რეკრუტირების ფუნქციას. პოლიტიკური სოციალიზაციის ფუნქციის დახმარებით ხორციელდება პოლიტიკური სისტემის არსებული მოდელის შენარჩუნება ან

მხარდაჭერა .პოლიტიკური სოციალიზაცია არის პოლიტიკური ცოდნის, რწმენა წარმოდგენების, გრძნობების ერთობლიობა,ფასეულობების შეძენა, რაც ახასიათებს იმ საზოგადოებას, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს.ინდივიდის ზიარება პოლიტიკურ ფასეულობებთან, მის მიერ საზოგადოებაში მიღებული პოლიტიკური ქცევის სტანდარტების დაცვა, ლოიალური დამოკიდებულება ხელისუფლების ინსტიტუტებთან უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის არსებული მოდელის მხარდაჭერას.

სოციალიზაცია აყალიბებს პოლიტიკური ადამიანის გარკვეულ ტიპს და უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობას ქვეყნის განვითარებაში, მის სტაბილურობას, ქმნის არსებული წესრიგისადმი მხარდაჭერას. სოციალიზაცია მიმართულია მხარდაჭერის აუცილებელი დონის შესაქმნელად, რაც პოლიტიკური სისტემის თვით შენარჩუნების საფუძველია.

სოციალიზაციის ფუნქციას უკავშირდება რეკრუტირება. პოლიტიკური რეკრუტირება ნიშნავს პოლიტიკურ სისტემაში როლების შესრულების ფუნქციას პიროვნებათა მიერ გარკვეული პოლიტიკური როლების: ამომრჩევლის, მოქალაქის, პრეზიდენტის, მოსამართლის და ა. შ. შესრულებას. პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუკი მისი ფუნქციონირება ემყარება საზოგადოების პოლიტიკური კულტურის შესაბამის პრინციპებს. მაგალითად, ამერიკული პოლიტიკური კულტურა ემყარება იმ მითებს, იდეალებსა და წარმოდგენებს, რომელთაც იღებს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, მიუხედავად მათი რელიგიური და რასობრივი სხვაობისა.

პოლიტიკურ სისტემაში „ შესვლის“ ფუნქციებს მიეკუთვნება:
✓ პოლიტიკური სოციალიზაცია –საზოგადოების წევრების ჩართვა პოლიტიკურ საქმიანობაში; ✓ რეკრუტირება – ადამიანთა შერჩევის ფორმა სისტემის სხვადასხვა სტრუქტურაში ჩასართავად; ✓ ინტერესების არტიკულაცია (გამოხატვა) – მოთხოვნათა წაყენება მათთვის, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს; ✓ ინტერესების აგრეგირება – მოთხოვნათა შეთანხმება და განზოგადება, ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება, მისთვის პოლიტიკური პლატფორმის

სახის მიცემა; ✓ პოლიტიკური კომუნიკაცია – სხვადასხვა სახის საინფორმაციო ურთიერთქმედება.

პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების დონეები:

ალმონდი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას სამ დონეზე განიხილავს, რაც შესაძლებლობას იძლევა, შევადაროთ პოლიტიკურ სისტემათა სხვადასხვა ტიპი. **პირველი დონეა** - სისტემის შესაძლებლობები. შესაძლებლობებს ალმონდი განიხილავდა, როგორც მთავრობის გავლენის ხარისხს საზოგადოებაზე, ადამიანთა გონებასა და ქცევაზე სამთავრობო მიზნების მიღწევის ინტერესებში. იგი ასახელებდა შესაძლებლობათა ხუთ სხვადასხვა ტიპს. ესენია:

1) **ექსტრაქციული შესაძლებლობა**	სისტემის უნარი, აითვისოს გარკვეული მიზნების მისაღწევად ადამიანური (ადამიანთა ნიჭი, მხარდაჭერა, ფული) და მატერიალური რესურსები;
2) მარეგულირებელი შესაძლებლობა	საზოგადოებაში ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფების ქცევის კონტროლის, საზოგადოების მოღვაწეობის რეგულირების უნარი
3) განაწილებითი შესაძლებლობა	ესაა უნარი, შექმნას, განათავსოს და გაანაწილოს მატერიალური და არამატერიალური ფასეულობანი საზოგადოებაში
4) რეაგირების შესაძლებლობა	სისტემის უნარი, რეაგირება მოახდინოს მოთხოვნებზე შესაბამისი პოლიტიკით, უპასუხოს სხვადასხვა ჯგუფიდან

	მომდინარე მრავალგვარ მოთხოვნას
5) სიმბოლური მნიშვნელობა	მჭიდროდ უკავშირდება ლეგიტიმურობისა და მხარდაჭერის მოთხოვნილებას, სისტემის უნარს, განავითაროს პოპულარული შეხედულებები, მითები, შექმნას მკაფიო, გასაგები სიმბოლოები და ლოზუნგები, მათი გამოყენებით ინარჩუნებდეს ლეგიტიმურობას, რაც აუცილებელია სისტემის მიერ დასახული მიზნების განსახორციელებლად.

სისტემის ფუნქციონირების მეორე დონე - ასახავს იმას, რაც თავად სისტემაში ხდება, ე.ი. კონვერსიის პროცესი- ესაა შემავალი ფაქტორების გარდაქმნის უნარი გამავალ ფაქტორებად. ერთი პოლიტიკური სისტემის კონვერსიული პროცესი შეიძლება გაანალიზდეს და შედარდეს სხვა სისტემის ანალოგიურ პროცესთან ალმონდის სქემის მიხედვით, რომლშიც გამოყოფილი აექვსი ძირითადი ფუნქცია:

1) როგორ ყალიბდება მოთხოვნები	ინტერესების არტიკულაცია
2) როგორ ხდება მოთხოვნათა ჩამოყალიბება მოქმედებათა ალტერნატიულ პროგრამებად	ინტერესების აგრეგირება
3) როგორ ყალიბდება ნორმები	ნორმების შექმნა
4) როგორ ხორციელდება ეს ნორმები ცხოვრებაში	ნორმების რეალიზება
5) როგორ კონტროლდება და რეგულირდება ისინი	კონტროლი ნორმებზე

6) ყველა ეს სხვადასხვა მოქმედება, როგორ შეესაბამება ერთმანეთს ამა თუ იმ სისტემის შიგნით, აგრეთვე სისტემის გარემოსთან ურთიერთქმედების დროს.	კომუნიკაცია

პოლიტიკური სისტემის მესამე დონის - ფუნქციონირებაში ალმონდს მხედველობაში ჰქონდა მოდელის მხარდაჭერისა და ადაპტაციის ფუნქციები. ალმონდისათვის ეს იყო სოციალიზაციისა და რეკრუტირების პროცესი, რომლის დროსაც იქმნება ახალი როლები და ახალი ადამიანები „ შედიან“ პოლიტიკურ ცხოვრებაში. [5]

2.1 *საქართველოს პოლიტიკური სისტემა*

საქართველო არის დამოუკიდებელი , ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო , რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახემწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. ქვეყანაში მოქმედებს 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუცია . კონსტიტუცია აგებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მკვეთრი გამიჯვნის პრინციპზე.

საკანონმდებლო კონფლიქტების გადასაწყვეტად 1996 წელს დაარსდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მისი შექმნისა და საქმიანობის საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია. იგი შედგება 9 მოსამართლისაგან . აქედან სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი. სამ წევრს ირჩევს

საქართველოს პარლამენტი, ხოლო დარჩენილ სამ წევრს საქართველოს უზენაესი სასამართლო. მათი უფლებამოსილების ვადა 10 წელია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი. კოლეგიის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი წევრი.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი:

- იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებზე;
- იხილავს რეფერენდუმის, ასევე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას.
- იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;
- იძლევა დასკვნას საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხზე;
- იხილავს საერთო სასამართლოს წარდგინებას. წარდგინება საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანება, როდესაც კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც მან უნდა გამოიყენოს ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ.

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია იხილავს :

- დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ.
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის შესახებ.
- დავას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ;
- ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის (საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) საკითხებთან მიმართებით.
- საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს

1995 წლის კონსტიტუციაში ღიადაა დატოვებული საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი. აღნიშნულია, რომ იგი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ გადაწყდება ადგილობრივი თვითმარტველობის შესახებ სპეციალურად მიღებული ორგანული კანონით.

თავი III მედია და პოლიტიკა

3.1 მასმედიის როლი პოლიტიკაში

„სიტყვა ადამიანის მიერ ადამიანის მართვის საუკეთესო იარაღია“ წერდა ფრანგი ფილოსოფოსი-**პოლ ვალერი.** თანამედროვე ეპოქაში საზოგადოების ქცევას მეტწილად მედია განსაზღვრავს.

საჯარო პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ ყველანი გაურკვევლობაში ვართ იმასთან დაკავშირებით თუ რა იქნება ხვალ .ჩვენ ყველანი დამოკიდებულნი ვართ ინფორმაციის წყაროებზე, რომელსაც შეგვიძლია მედია ვუწოდოთ.

მედია მეოთხე ხელისუფლებაოო თქვეს განვითარებულ დასავლეთში. ხოლო საქართველოში კი დააამატეს: მედია იმ შემთხვევაშია მეოთხე ხელისუფლება, თუ მას შეუძლია საკუთარი, დამოუკიდებელი, საინფორმაციო ნაკადის შექმნა, სხვა სუბიექტების ჩარევის გარეშე.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან პოლიტიკურმა და სოციალურმა პროცესებმა სახე უცვალეს მთელ სამყაროს. აშკარა შეიქმნა, რომ მსოფლიო სტაბილურობა არამდგრადმა სამყარომ შეცვალა. ამ რეალობიდან გამომდინარე თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მასმედიის როლი სრულიად ახლებულად განისაზღვრა. შეცვლილმა ღირებულებებმა იგი მეტად ჩართო სოციალურ თუ პოლიტიკურ დაპირისპირებაში, გახადა ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე იმ პროცესებისა, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს გაწონასწორებული და ტოლერანტული მსოფლიო, ახალი საზოგადოება.

პოლიტიკური მისწრაფებების რეალური არსი საზოგადოებას მასმედიური საშუალებებით მიეწოდება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის როლს. XXI საუკუნის დასაწყისში კიდევ უფრო მეტად წარმოჩინდა გაძლიერებული ინტერესი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფენომენისადმი. ისინი - სახელმწიფო პოლიტიკა და მასმედია , ურთიერთობის სრულიად ახალ ფორმაზე გადავიდნენ, რაც გულისხმობს მჭიდრო თანამშრომლობას, როგორც საგარეო ასევე საშინაო პოლიტიკაში. კერძოდ , სახელმწიფომ მასმედიისაგან საზოგადოებრივი თანხმობის უზრუნველყოფა მოითხოვა . მასმედია სახელმწიფოს მმართველობის ანუ პოლიტიკის უნივერსალური არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა. [6]

იმის შესახებ , რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იძენენ პოლიტიკურ მნიშვნელობას , დაიწყეს ლაპარაკი XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც საზოგადოებაში შემოვიდა მასობრივი წიგნიერება და ყველასათვის გახდა ხელმისაწვდომი პრესა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გახდნენ პოლიტიკური პროცესის სრულყოფილი, საკმაოდ დამოუკიდებელი და უაღრესად ძლიერი ფაქტორი. მასმედიამ სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს კვლევისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თითოეული მათგანის ინდივიდუალურობა.

სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი გახლავთ ის, რომ იგი ქვეყნის , დღევანდელობისა თუ მომავლის, უმთავრესიი განმსაზღვრელი ფაქტორია, რაც აუცილებლად მოითხოვს მნიშვნელოვანი საკითხების მართებულ, სწორ გადაწყვეტას. მასმედიამ აუცილებლად „ყური უნდა უგდოს“ ამ რთულ და ფაქიზ პროცეს თუმცა „ კერპთაყვანისმცემლური“ დამოკიდებულება , რომელიმე პოლიტიკური სუბიექტისადმი არ უნდა იქონიოს, რადგანაც მასობრივი

ინფორმაციის საშუალებები პირდაპირ აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს, გემოვნებას.

მასმედიის პოლიტიკის შესწავლა ნიშნავს იმ იმპულსთა გააზრებას, რომელმაც მოძრაობაში მოიყვანა ესა თუ ის პოლიტიკური აზრი. სახელმწიფო პოლიტიკასთან ურთიერთობა მასმედიას მრავალ ტკბილ-მწარეს განაცდევინებს. პოლიტიკის ცვალებადობა მთლიანადაა დამოკიდებული ცხოვრებისეულ რეალობაზე, რომელიც დროის შესაბამისად იცვლის პოლიტიკური თვითდამკვიდრების ხერხებსა და მეთოდებს. ნებისმიერი პოლიტიკური მიმართულება იბადება და ვითარდება. მასმედიის უპირველესი საკვლევიც სწორედ ამ პროცესშია. ამ გზაზე იგი ხშირად თავიდან ვერ აიცილებს დამაბრკოლებელ წინააღმდეგობებს, რომელიც იქნება მანამ სანამ იარსებებ ორი „დაპირისპირებული“ მხარე - მასმედია და პოლიტიკა.

პოლიტიკას ყოველთვის სურს და ყოველთვის დაინტერესებულია , რომ მასმედია მოიაზროს იმ მოკავშირედ , რომელიც მუდმივად მხარს დაუჭერს მას. ყოველივე ეს კი მასმედიას დიდ უხერხულობას უქმნის, რადგანაც იგი ძნელად ეგუება ვასალურ მდგომარეობას და მთელი ძალით ობიექტურობასა და სიმართლეზე დაყრდნობით ლიდერობისაკენ მიუწევს გული. თუმცა ყოველივე ამის მიუხედავად მაინც თამამად შეგვიძლია ვთქვათ , რომ მასმედია და პოლიტიკა სამარადჟამოდ „არიან გაწირულნი თანამშრომლობისათვის“. როგორც პოლიტიკის ასევე მასმედიის სრულქმნილი ხატი წარმოუდგენელია მათი ურთიერთკავშირის გარეშე.

მასმედიური თვალსაზრისით ყოველი პოლიტიკური მოვლენა კავშირშია , როგორც სახელმწიფოებრივ ინტერესებთან , ასევე წმინდა ადამიანურ ვნებებთან, რომელსაც მოქალაქეთა ჯგუფი ან ცალკე ინდივიდი გამოხატავს. ამდენად მასმედია ის მექანიზმია , რომელიც პირველი გრძნობს, როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ ბიძგებს.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია მასმედიის მიერ ინფორმაციის ობიექტურად გადმოცემა. სხვადასხვა მასმედიური წყაროები ჭეშმარიტების წვდომის განსხვავებულ ხერხებსა და საშუალებებს იყენებს. ვინც ყველაზე ღრმად ჩასწვდება პრობლემის ძირეული ასპექტების ყველაზე ობიექტურ სურათს , ის პირველი გამოავლენს ჩვენთვის საინტერესო ფაქტს.

მასმედიას უნდა ახსოვდეს, რომ ყველაზე თამამი აზრები და იდეები დაუცველნი და მიუსაფარნი არიან. ამიტომ მათ ავტორებს განსაკუთრებული შორსმჭრეტელობა და წინასწარი განსჯის უნარი უნდა ახასიათებდეთ. მასმედია ვალდებულია გონივრული დასაბუთების მეშვეობით, ამა თუ იმ პოლიტიკურ ინიციატივაზე, ჭეშმარიტი წარმოდგენა მიაწოდოს საზოგადოებას. ამავე დროს მასმედიას კარგად უნდა ახსოვდეს , რომ ნებისმიერი აზრის არასწორი ინტერპრეტაცია იწვევს რეალობის საპირისპირო აღქმას, რომელიც ფრიად არასასურველი შედეგით მთავრდება.

მასმედია უნდა შეეცადოს იპოვოს ის გასაღები, რომლითაც აიხსენა ტაბუ იმ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, რომლებიც პრაქტიკულად განსაზღვრავენ სახელმწიფო პოლიტიკური მანქანის მოძრაობას. მასმედია უნდა დახელოვნდეს სინამდვილისა და ჭეშმარიტების წვდომის ყველა ნიუანსში, რათა დაიცვას თავი გარკვეული წრეების ახირებულობისაგან. მასმედიამ უნდა შეისწვალოს და საკუთარი გონებით უნდა შეაფასოს სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესთა ისტორია, ანუ შეიმუშაოს ცოდნა იმის შესახებ თუ რა მოუტანია პოლიტიკურ სვლას ბედნიერებისა თუ უბედურების სახით, რათა მასზე დაყრდნობით შეძლოს წარსულისა თუ მომავლის სწორი კომენტირება.

მასმედიამ შემოქმედების გზაზე უპირველეს ყოვლისა უნდა გამოიყენოსის გარემო, რომელსაც ზედმიწევნით იცნობს. მასმედიური ნიჭის ერთ-ერთი გამოხატულება ჯავარიანი სიტყვაა. სიტყვისმიერ ხატში ძალუმად უნდა იგრძნობოდეს წრფელი სინდის, რომელიც ზოგისთვის ტკბილი იქნება, ზოგისთვის კი მწარე. მასმედიამ პოლიტიკური მოძრაობის ის მარცვალი უნდა შეარჩიოს, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მის დედააზრს. მასმედიური პუბლიცისტიკა არ უნდა უქმნიდეს არც მის ავტორს და არც მკითხველს პასიურობისა და გულარხეინობის გრძნობას, რადგანაც მასმედიური ცხობვრება, პირველყოვლისა ნიშნავს მუდმივ სიფხიზლესა და პროფესიული არჩევანისადმი ერთგულებას.

მასმედია ქმნის სურათს პოლიტიკის შესახებ, პოლიტიკური საკითხების კვლევისას მასმედიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და არგუმენტაცია სჭირდება, რადგნაც ეს საკითხი ძალზე დელიკატურია. არც ერთი მასმედიური წყარო, არც ერთი ჟურნალისტური ნაღვაწი არაა დაზღვეული შეცდომისა და უზუსტობისაგან, რაც ხშირად მოსდევს ფაქტების ინტერპრეტაციას . ამავე დროს მასმედიას უნდა

ახსოვდეს , რომ სასურველი აზრის ინტერპრეტაცია დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ იმ პროპორციით , რომელიც არ დაუშვებს ფაქტის ნამდვილი ბუნების კარდინალურ ცვალებადობას. ფაქტის პირველადი კომენტირებისას მასმედიამ თავი უნდა შეიაკვოს ორჭოფული, საეჭვო შეფასებისაგან, რომელიც შეძლება გახდეს „შემდგომი გართულებების“ ბიძგი. ყოველ მასმედიურ წყაროს უნდა ახსოვდეს , რომ აზრის, პროპორციულობის დაცვა და ფაქტისადმი სწორი მიდგომა მსიი წარმატების უტყუარი საფუძველია.

მასმედია სახელმწიფო პოლიტიკასთან მიმართებაში აუცილებლად იცავს ჩაურევლობის პოლიტიკას მანამ , სანამ აღნიშნული პოლიტიკური კურსი საზოგადოებისათვის მისაღებია. იმ შემთხვევაში თუ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოთქვამს უკმაყოფილებას სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ , მაშინ მასმედია ვალდებულია იკისროს შუამავლის როლი, რომელიც დაარეგულირებს მათ შორის ურთიერთობებს და დაეხმარება ორივე მხარეს კონსესუსის მიღწევაში. თუ მოწინააღმდეგე მხარეები მათში იგულისხმება სახელმწიფო მმართველობა და საზოგადოება ვერ რიგდებიან სახელმწიფოს პოლიტიკური ვექტორის განსაზღვრაში, მაშინ მასმედია ცდილობს უფრო ღრმად ჩასწვდეს ამ საკითხს და ორივე , მხარის სურვილით შეუდგეს იმ უტყუარი ალიბის მოძიებას, რომლებზე დაყრდნობითაც ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს სახელმწიფო პოლიტიკის ახალი კურსი.

სახელმწიფო პოლიტიკა ეს არის უზარმაზარი სტრუქტურა , რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური და არაპოლიტიკური განშტოებებისაგან შედგება, თითოეული მათგანი გარკვეულ სფეროს კურირებს, რომელთა ერთობლივი ქმედებითაც ყალიბდება საკითხებისადმი ერთიანი მიდგომა და სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა.

მასმედია მუდმივად ცდილობს „გააკონტროლოს“ სახელმწიფო პოლიტიკა და მაქსიმალურად გამჭვირვალე გახადოს მათი ქმედებები საზოგადოებისათვის. თავის მხრივ სახელმწიფო პოლიტიკა მუდმივად ეძებს “ სასურველ პარტნიორს“ მასმედიაში, რადგნა ამ უკანასკნელს ყოველთვის შეუძლია საზოგადოების გულისყურის მიპყრობა და სახელმწიფო პოლიტიკაში დამაჯერებელი სახეების შექმნა. სხვადასხვა მასმედიური ხერხები შეიძლება ერთ ჯადოსნურ სიტყვაში იქნეს ასახული, რომლის სახელიც მასმედიური ხელოვნება იქნებოდა, ჟურნალისტიკა ცხოვრების დინამიურ პროცესს ასახავს, მისი შემოქმედება დანახულის, მოსმენილისა

და აღწერილის თანაგანცდაა. ამდენად , იგი უაღრესად დიალოგური და დიალექტიკურია.

სახელმწიფო პოლიტიკისადმი საზოგადოების ინტერესის აღზევება-დაქვეითება მასმედიის პრეროგატივაა. საზოგადოების ნდობა ჟურნალისტური კორპუსისადმი ჭეშმარიტად დიდია, რადგანაც გულწრფელი სიტყვებით გადმოცემული აზრი ადამიანებს ეხმარება მათივე გონებაში არსებული „დაფარული საუნჯის“ აღმოჩენაში.

მასმედიამ უნდა შეძლოს პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებიდან ისეთი მეტყველი ფაქტების მოძიება, რომ მასში ზუსტად ჩანდეს ცალკეულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ხასიათი და სულისკვეთება. ამგვარი მასალის შეგროვება, დაჯგუფება, შეფასება და შემდგომი გამოყენებისათვის „მომწიფება“ მასმედიას საშუალებას აძლევს მიზეზთა ერთიან ჯაჭვში ყოველ არსებითს თავისი ადგილი მიუჩინოს.

ასევე უაღრესად საინტერესეო განვიხილოთ თუ როგორია მასმედიისა და პოლიტიკური სისტემის ურთირთობა საქართველოში.

სიტყვის თავისუფლება ერთ-ერთი ის დემოკრატიული ღირებულებაა, რომლის დეფიციტი განსაკუთრებით მწვავე იყო საბჭოთა კავშირში, და რომელიც ყველაზე იოლად და საკმაოდ სრულად დამკვიდრდა საქართველოში . მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დამოუკიდებლობის წლებშიც. ეს არ ყოფილა უპრობლემო პროცესი, პირიქით, თითოეული მომდევნო ხელისუფლება ცდილობდა არ დაეშვა მისი აზრით მავნე პოლიტიკური იდეებისა და მოწოდებების გავრცელება მედიის საშუალებით. ბევრი პოლიტიკური მოვლენა საქართველოში სწორედ ამგვარი აკრძალვებისა და შეზღუდვების გადალახვის მოთხოვნებს უკავშირდება. ეს განსაკუთრებით ეხება ტელევიზიას, რომლის პოლიტიკური კონტროლის პრობლემა რამდენჯერმე იქცა საკვანძო თემად პოლიტიკური დაძაბულობის კულმინაციურ მომენტებში.

ხელისუფლებას შეუძლია შეზღუდოს მხოლოდ სიტყვის ნეგატიური უფლება - გამოიყენოს სახელმწიფო აპარატი ცენზურისა თუ სხვა შეზღუდვების მიზნით. ამგვარი შეზღუდვების არარსებობა სულაც შეიძლება არ ნიშნავს, რომ ყველას ჰქონდეს თანაბარი პოზიტიური უფლება სალაპარაკოდ .

ყველაფერს, რაც საბჭოთა დროს მედიაში პოლიტიკის შესახებ იწერებოდა და საჯაროდ ითქმოდა, ცოდნის გავრცელების სტატუსი ჰქონდა. ამ ცოდნის წყარო იყო მარქსიზმლენინიზმის თეორიით აღჭურვილი კომუნისტური პარტია. შეხედულებებს, რომლებიც ამ ცოდნას კითხვის ქვეშ დააყენებდა, საჯარო სივრცეში ადგილი არ ჰქონდა. ჟურნალისტი „კარგად“ წერდა იმდენად, რამდენადაც სწორად ასახავდა მმართველი პარტიის კურსს. დემოკრატიული გარდაქმნების კვალობაზე გაქრა მონოპოლია პოლიტიკურ „ცოდნაზე“, გაჩნდა მრავალფეროვანი პოლიტიკური შეხედულებები, შეფასებები და მიდგომები, და ჟურნალისტებს გაუჩნდათ პრობლემა - როგორ უნდა წერონ პოლიტიკური მოვლენების შესახებ ახალ ვითარებაში, როდესაც აღარ არსებობს ძველი ათვლის სისტემა - „სწორი“ ცოდნის ერთადერთი წყაროს სახით.

ამ გამოწვევაზე პასუხების ძიება ჟურნალისტური კორპუსის თითქმის სრული განახლების ფონზე წარიმართა. ჟურნალისტების ძველმა თაობამ, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა დროს მოღვაწეობდა, ისევე როგორც ძველმა მედიამ, დიდწილად დროს ალღო ვერ აუღო და ასპარეზი ახალ მედიასა და ახალ ჟურნალისტებს დაუთმო. ახალი გაზეთები, რადიო- და სატელევიზიო არხები და გადაცემები ჯერ კიდევ გამოუცდელი, სხვადასხვა განათლების მქონე ახალგაზრდობით დაკომპლექტდა. ამ თაობამ წერის და საუბრის საკუთარი მანერა მუშაობის პროცესში ჩამოიყალიბა. წინა თაობისგან განსხვავებით, ამ ჟურნალისტებმა გაბედულად შეტოპეს პოლიტიკური ბრძოლის ჭაობში და აღიარებული ჭეშმარიტების ძიებაში თავის დასაყრდენად და ორიენტირად პოლიტიკური შეფასებების სისტემა გაიხადეს. მათი პროფესიული საქმიანობის დასაყრდენად იქცა არა იმდენად საკუთრივ ჟურნალისტური ქცევის ნორმები და მეთოდები, რამდენადაც სამოქალაქო თუ პოლიტიკური პოზიცია. ეს მათ არა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების არბიტრად [ფასილიტატორად], არამედ მის აქტიურ შემოქმედად აქცევს.

მედია შედარებით მაღალი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში. ამავე დროს, მედიის კრიტიკაც საკმაოდ ჩვეული და გავრცელებული მოვლენაა ქართულ საზოგადოებაში. ეს, ალბათ, ზემოხსენებულ პრობლემას, ცოდნისა და შეხედულების ასახვას, პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს უკავშირდება. დღევანდელი

ჟურნალისტიკა, ისევე როგორც მასობრივი კომუნიკაცია ზოგადად საქართველოში მეტად შორს არის ფაქტებზე დამყარებული ჟურნალისტიკის სტანდარტებისგან.

საქართველოში მასმედიასა და პოლიტიკურ სისტემას ურთიერთობის არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია გააჩნია, რომელიც შესაძლებელია სამ ეტაპად წარმოვადგინოთ:

1.კომუნისტური რეჟიმის პერიოდი- როდესაც გაზეთი და ტელევიზია პარტიის და მთავრობის კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯების მიმანიშნებელი და რუპორი, უფრო ზუსტად კი სხვისი იდეებისა და შეხედულებების გამავრცელებელი იყო. სახელმწიფო გაზეთების ტირაჟები ასეულ ათასობით იზომებოდა, ხოლო ერთადერთი სახელმწიფო ტელევიზი ფარავდა მთელს ქვეყნის დიდ ნაწილს.

2.ნაციონალისტური მმართველობის პერიოდი- როდესაც ტელევიზი კვლავ ძველ, კომუნისტური ხანიდან გამოყოლილ ფუნქციას ასრულებდა, ხოლო პრესის ბაზარზე გამოჩნდნენ ოპოზიციური გაზეთები, რომელთა ტირაჟები, მართალია ვერ უტოლდებოდა კომუნისტური ხანის სახელმწიფო გაზეთების ტირაჟებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი შესყიდვა და გამოწერა ნებაყოფლობითი იყო საკმაოდ სერიოზულ რიცხვს აღწევდა.

3.დემოკრატიული პერიოდი- ანუ დრო ნაციონალიზმზე ორიენტირებული ხელისუფლების გაგდებიდან დღემდე, როდესაც არასახელმწიფო ტელევიზიებისა და გაზეთების რიცხვი განუზომლად იზრდება არჩევნების წინ და მცირდება არასაარჩევნო პერიოდში.

ზოგადად შეიძლება ითქვას , რომ მასემდია მედიაციური ინსტიტუტია. მას პოლიტიკური შემთხვევების შესახებ ინფორმაცია მიაქვს საზოგადოებასთან, საზოგადოება კი რეაგირებს ამ ინფორმაციაზე. ამ რეაგირებას საზოგადოებრივი აზრი ეწოდება. საზოგადოებრივი აზრი არის საფუძველი და ორიენტირი პოლიტიკური ძალებისათვის, რადგანაც მის საფუძველზე პოლიტიკური ძალები იღებენ გადაწყვეტილებებს და თავიანთ ქმედებებს გარკვეული მიმართულებით წარმართავენ. ანუ მედეა პოლიტიკური პროცესების მოდელირებას ეწევა

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ მასმედიას პოლიტიკური შემთხევევბის ჩამოყალიბებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. მასმედია არის აუცილებელი სფერო, რომელშიც გარკვეულმა გადაწყვეტილებამ უნდა გაიაროს და ჩამოყალიბდეს,

როგორც პოლიტიკური შემთხვევა, რომელიც შემდგომ, როგორც პოლიტიკურ ძალებზე ასევე საზოგადოებრივ აზრზე იმოქმედებს, ხოლო შედეგად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სურათს მოგვცემს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე თამამდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასმედიას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ქვეყნის შიგნით ძალაუფლების გადანაწილების პროცესში. ამიტომაც ადვილი გასაგები ხდება თუ რატომ ექცევა პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან მასმედიის წარმომადგენლებთან კონტაქტს ასეთი დიდი ყურადღება. ეს ყურადღება განსაკუთრებით შესამჩნევი და ხელშესახებია ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, რომელთა რიგებს საქართველოც მიეკუთვნება. მიზეზი მარტივია, ახალი დემოკრატიის ქვეყნებში ძალაუფლების და გავლენის სფეროების გადანაწილება ახლა მიმდინარეობს. პოლიტიკოსებისა და მასმედიის წარმომადგენელთა ურთიერთობის დაწერილი თუ დაუწერელი კანონებიც ახლა ყალიბდება, ამიტომაც სრულიად ბუნებრივი და გასაგებია ამ ქვეყნების მმართველი თუ ოპოზიციური ძალების სურვილი , საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციონს მასმედია, ხოლო თუ ამას ვერ მოახერხებენ სიმპატიით მაინც განაწყონ თავიანთ მიმართ. რადგანაც მასმედიის განწყობა გადამწყვეტია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის და შესაბამისად ყოველი კონკრეტული პოლიტიკური ძალის კეთილდღეობისათვის.

თუმცა ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ისიც , რომ მასმედიის ყოველ სუბიექტს უნდა შეეძლოს საკუთარი საინფორმაციო საშუალებებით მოქალაქეების მაქსიმალურად დიდი რაოდენობის მოცვა და მიზიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი მასმედიის სუბიექტს არ ჰყავს საკმარისი აუდიტორია, პოლიტიკური ძალაც არ უნდა იყოს დაინტერესებული მასთან ურთიერთობით, რადგანაც მისი მთავარი ობიექტი ხომ საზოგადოებაა.

როგორც უკვე ავღნიშნე მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში.

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში მედიის როლი იმით განისაზღვრება, თუ რამდენად შეუძლია მას ჩასწვდეს და გაანალიზოს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. უზრუნველყოს სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის გამჭვირვალობა და ამით კარგი მმართველობის ერთგვარი გარანტი გახდეს. ამასთან მოქმედ პოლიტიკურ სისტემებში მედიას ხელი უნდა

მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე და შეეძლოს მისი ადეკვატურად გადმოცემა მომხმარებლისათვის. მედიის დანიშნულებისა და შესაძლებლობების სრულად გამოყენება სულ მცირე ორი მიზეზითაა მნიშვნელოვანი :

1.ხელს უწყობს საკუთარ ქმედებებზე მოქალაქეების პასუხისმგებლობის გაზრდას და ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას, რაც თავისთავად გამორიცხავს მოქალაქეების მიერ გაუცნობიერებული, უგულისყურო და მცდარი გადაწყვეტილებების მიღებას.

2. სახელმწიფოს პოლიტიკური და ადმინისტრაციული ინსტიტუტების მოქმედების შესახებ სრულყოფილი ინფრომაციის მიღება საზოგადოებას ხელში მისცემს ერთგვარ მაკონტროლებელ ბერკეტს, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს, კერძოდ პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებს მის მიერ არჩეულ პირებს ან ამ უკანასკნელთა მიერ და ნიშნულ პირებს.

დღეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ფონზე სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა დაპირისპირებულია, ასევე, წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს მედიას, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ინსტიტუტებსა და საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და ეფექტიანი კომუნიკაციის აწყობა. თავად მედია ტიპობრივად სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს, თუმცა, საქართველოს კონტექსტში და კონკრეტულად ამ სეგმენტში მისი თვისობრივი და ტიპობრივი განსაზღვრა გარკვეული სპეციფიურობებით ხასიათდება, კერძოდ, იგი გარკვეულწილად მოიცავს დემოკრატიის და კარგი მმართველობის სივრცეს:

მედიას შეუძლია წვლილი შეიტანოს ისეთ პროცესებში, რომლებიც დეცენტრალიზაციას, გამჭვირვალობას და პოლიტიკის პროცესში მოქალაქეების ჩართულობას ეხება;

დამოუკიდებელი მედია ხელს უწყობს კანონის უზენაესობის გამყარებას და შემდგომ მის ინსტიტუციონალიზაციას, რადგანაც მას უნარი შესწევს იყოს მიუკერძოებელი „მსაჯული“ ან სულ მცირე, მესამე მხარე სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებში, ზედამხედველობა გაუწიოს სასამართლოების მუშაობას, გააშუქოს

კანონმდებელთა საქმიანობა და შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა;

დამოუკიდებელი მედია ასახავს ფორმალურ პოლიტიკურ სისტემაში საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების დინამიკას, ხელს უწყობს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ კონკურენტული ძალისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი მედია სივრცის არსებობის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მედია სივრცე შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას შესაბამის საკითხებზე დროული და ობიექტური ინფორმაცია მიიღოს.

დღეს საქართველოში მიმდინარე რეფორმების დღის წესრიგში დემოკრატიზაციის, სახელწიფოებრიობის შენების და გამჭვირვალე, კანონის უზენაესობის პრინციპზე დამყარებული მმართველობის უზრუნველყოფის ამოცანა დგას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად მედია უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ ინტერესს, რაც გულისხმობს საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვანი პოზიციებისა და ხედვების გენერირებას, გადაცემების მომზადებას, რომლებიც ისარგებლებს საზოგადოების სანდოობის მაღალი ხარისხით, ადეკვატურად წარმოაჩენს საზოგადოებრივ განწყობებს და დროულად უზრუნველყოფს მიუკერძოებელი ინფრომაციის მიწოდებას.

ამ თვალსაზრისით მედიისა და მისი მოკავშირე სამოქალაქო საზოგადოების წინაშე დგას მედიის სექტორის მაქსიმალურად გაძლიერების ამოცანა, რათა შესაძლებელი გახდეს სანდო, ადეკვატური ინფორმაციის დროული გაცვლა და სხვა კომუნიკაციის საშუალებების უზრუნველყოფა . ყოველივე ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ ალტერნატიულ ინფორმაციაზე, რაც თავის მხრივ, დაეხმარება მათ გადაწყვეტილების მიღებასა და ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვაში.

3.2 მასმედიის გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე

როგორც უკვე ავღნიშნე, მასმედია საკმაოდ დიდ როლს ასრულებს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, ის გავლენას ახდენს პოლიტიკურ დღის წესრიგზე და ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში. განვითარებულ დასავლეთში მედიას მეოთხე ხელისუფლების სახელითაც კი მოიხსენიებენ თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც , მედია იმ შემთხვევაშია მეოთხე ხელისუფლება თუ მას შეუძლია საკუთარი, დამოუკიდებელი საინფორმაციო ნაკადის შექმნა, სხვა სუბიექტების ჩარევის გარეშე. თუმცა იგი ყოველთვის როდია დამოუკიდებელი . მასმედია არადემოკრატიულ სახელმწიფოებში თითქმის ყოველთვის სახელმწიფოს მფლობელობაშია, ან კიდე, მის მიერ კონტროლდება. თუმცა ზოგიერთი დემოკრატიული ხელისუფლებაც ახდენს მედიის მონოპოლიზებას, ან ფლობს და ამუშავებს სატელევიზიო ქსელს. ასეთ შემთხვევაში განსხვავება, დემოკრატიულ და არადემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ის არის, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები იღებენ კანონებს, რომელიც უზრუნველყოფს მასმედიის სამართლიანობასა და ობიექტურობას.

მედია, რომელიც პოლიტიკური პროცესების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს, განსაკუთრებულ ძალას იძენს მაშინ , როდესაც იგი ერწყმის პოლიტიკურ სფეროს. რწმენა იმისა , რომ ტელევიზიები ყოვლის შემძლენი არიან იმდენად დიდია, რომ ხშირად პოლიტიკური მოღვაწეები თვლიან , რომ ვინ ახორციელებს კონტროლს მედიაზე ის აკონტროლებს მთელ ქვეყანას.

გარდა ამისა, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სწრაფად ვითარდებოდა ე.წ. ელექტრონული მედია რადიო და ტელევიზია. აშშ-ში ბევრს კამათობენ ტელევიზიის მზარდ გავლენაზე. მაგალითად ზოგი ამერიკელი მათ შორის, კონგრესის წევრების ჩათვლით, წუხს ტელევიზიით ძალადობის დიდი ოდენობით ჩვენებისა და იმ გავლენის გამო, რასაც იგი მოქალაქეთა ქცევაზე ახდენს.

მედია განსაკუთრებული მნიშვნელობით სარგებლობს და დიდ როლს ასრულებს წინა საარჩვენო პერიოდში. ამ პერიოდში განსაკუთრებით იზრდება მედიის გავლენა

საზოგადოებაზე. წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად შუქდება არჩევნებში მონაწილე პარტიების პოლიტიკური პროგრამები და მათი დაპირებები.

შეშფოთების საბაბს იძლევა ასევე მასმედიის პოლიტიკურ პროცესში გამოყენების საკითხიც. მაგალითად , სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგანაც ადამიანები გაზეთებს სულ უფრო ნაკლებად კითხულობენ და პოლიტიკური პარტიების შეკრებებსაც უფრო იშვიათად ესწრებიან.

პოლიტიკური რეკლამა თავისი შინაარსის მიხედვით ძირითადად შეიცავს წუხილს, შეშფოთებას რაიმე საზოგადოებრივ საკითხზე და რა თქმა უნდა ინფორმაიას თავად კანდიდატზე. პოლიტიკური რეკლამის ძირიტადი დანიშნულებაა პოლიტიკური კამპანიების დროს ამომრჩეველთა დარწმუნება. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მაგალითად დანიის კრძალავს პოლიტიკური მესიჯის მქონე რეკლამის წინასაარჩევნო პერიოდში ტრანსლაციას. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით , რომ არ მოხდეს ამომრჩეველზე ზემოქმედება და უზრუნველყოფს კანდიდატთა თანაბარ უფლებებს.

პოლიტიკურ რეკლამაში მნიშვნელოვანია ის თუ , რამდენადაა მისი შინაარსი განსაზღვრული მედია კონსულტანტების მიერ, რადგან ყოველივე ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს , როგორც კამპანიის ხარისხზე ასევე კანდიდატზე.

ასევე მნიშვნელოვანია სარეკლამო რგოლების შინაარსიც. მაგალითად განსხვავებით ადრეული პერიოდისა, როდესაც გავრცელებული იყო დოკუმენტური ხასიათის განცხადებები, თანამედროვე პერიოდში დომინირებს უფრო მოკლე , ემოციური, იერიშის სტილის რეკლამა, რომელიც თითქმის ყოველთვის მარტივი, სიმბოლური და პერსონიფიცირებულია. ხშირად ამგვარ რეკლამებში ჭარბობს მუქი ფერები, ავისმომასწავებელი მუსიკა, დაბალი ხმა და სიმბოლოები , რომელთაც ნეგატიური დატვირთვა აქვს. მათი სამიზნეა პოლიტიკური კანდიტატების კეთილსინდისიერება, მოტივები ან მათი წარსული.

მედია ვალდებულია, დაიცვას კანონმდებლობით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, ჟურნალისტური ქცევის კოდექსით, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიითა და ყველა სტანდარტის დაცვით გააშუქოს არჩვენებში მონაწილე სუბიექტები, შეინარჩუნოს ბალანსი და ყველაფერი გააკეთოს ამომრჩეველთა სრულფასოვანი ინფორმირებისათვის.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია , როგორ გვაწვდიან ახალ ამბებს განსაკუთრებით კი ტელევიზიით. ზოგიერთი კონსერვატორი კრიტიკოსი ამტკიცებს , რომ სატელევიზიო ახალი ამბები და ზოგადად მედია ასახავს პოლიტიკურ დღის წესრიგს ან ჟურნალისტთა და დიქტორთა შეხედულებებს. გარდა ამისა რადიო და ტელევიზია ხშირად ზედმეტად ზედაპირული და სენსაციებს გამოდევნებულია. ისინი ცუდ ამბებს უფრო ეძებენ, ვიდრე მნიშვნელოვან სიახლეებს.

ქართულ რეალობაშიც მედია საკმადო მნიშვნელოვან როლს ასრულებს და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. ყველაზე მთავარი და აუცილიბელი პირობა მედიისათვის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებაა- მან უნდა გააშუქოს , როგორც დაზარალებული ასევე ოპონენტი მხარის მოსაზრებები და ინტერესები. აღსანიშნავია ისიც , რომ ქართული მედია დღეს საზოგადოებაში მიიცნევა , როგორც პოლიტიკური იარაღი პოლიტიკოსების ხელში, ხოლო მედია საშუალებების მფლობელები ხალხისთვის ასოცირდება ან ხელისუფლებასთან , ან კიდე ოპოზიციასთან. სწორედ ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა მედია საშუალებების აქტიური მომხმარებელია, თუმცა ნდობა მათ მიმართ საკმაოდ დაბალია.

დღეს ქართულ მედიაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის პოლიტიზირებულ ბუნებას, რაც ნორმალურიც კია დემოკრატიული განვითარების გზაზე მყოფი განვითარებადი ქვეყნისათვის , თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ უფრო მეტად იყოს დაბალანსებული მედია საშუალებების სტრუქტურა და სამაუწყებლო ბადე.

მედიის მხრიდან სიტყვის თავისუფლება და ხელისუფლების კრიტიკა, ერთგვარად მანიშნებელია იმისა, როგორია თავისუფლების ხარისხი ქვეყანაში. იქ სადაც დაშვებულია მთავრობის კრიტიკა, როგორც წესი, თავისუფლება დაცულია. საბოლოოდ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ დემოკრატიულ სახლემწიფოებში მასმედია პიროვნული თავისუფლების საზომიცაა და გარანტიც.

თავი IV მართვის ხელოვნების არსი

4.1 პოლიტიკური ლიდერები და მათი ტიპები

ნებისმიერი ტიპის სოციალურ ურთიერთობაში ჩნდება მიმართება: **დომინატი-დაქვემდებარეული.** ლიდერი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც აქვს ყველაზე მეტი ბერკეტი გარკვეულ ჯგუფზე ზეგავლენის მოსახდენად. თუმცა ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს იმას , რომ იგი არ განიცდის ჯგუფის ზეგავლენას.

ლიდერობა პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგანაც სახელმწიფოს კეთილდღეობა ხშირად დამოკიდებულია ლიდერების უნარზე, გააკეთონ სწორი არჩევანი და იმოქმედონ კეთილგონივრულად. პოლიტიკური ლიდერი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა რადგანაც მის ხელშია პოლიტიკის საფუძველი - ძალაუფლება და სწორედ ის აძლევს მიმართულებას პოლიტიკურ პროცესებს. ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარის აზრით, **„პოლიტიკა თავისი არსით ლიდერობა ან ნებისმიერი ფორმის პოლიტიკური ერთობის მართვის მცდელობაა“.**

იდეალური ლიდერის ტიპის განსაზღვრა მარტივი არ არის. კარგი ლიდერობის უნარს საფუძვლად უდევს ისეთი შეუმჩნეველი თვისებები , როგორიცაა: ინტუიცია, შთაგონება, საღად აზროვნების უნარი. არსებითია სხვა თვისებებიც- ინტელექტი და თავშეკავებულობა. გამოყოფენ ლიდერთა მრავალ ტიპს. მაგალითად **ვილფრედო პალეტო** გამოყოფდა ლიდერთა ორ ტიპს : ლიდერი-მელია და ლიდერი-ლომი. ლიდერთა ტიპოლოგიაზე საუბრობს ასევე ცნობილი გერმანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი **მაქს ვებერი** თავის ნაშრომში **„ბატონობის ტიპები“** , სადაც იგი გამოყოფს ბატონობის სამ ტიპს:

1. რაციონალური - ეფუძნება დაწესებული წესრიგისა და კანონიერების ლეგალურობის რწმენას.
2. ტრადიციული- ეფუძნება ტრადიციის უზენაესობისა და ამ ტრადიციებზე დაფუძნებული ავტორიტეტის ლეგიტიმურობის რწმენას;
3. ქარიზმატული - ეფუძნება სიწმინდის ან გმირული ძალის არაჩვეულებრივ გამოვლინებებს, ან პიროვნების განსაკუთრებულობის

რწმენას და ამ განსაკუთრებულობის გამოვლინებით შექმნილი წესრიგისადმი მორჩილებას.

ასევე გამოყოფენ ლიდერთა ოთხ ტიპს: ნამდვილ ლიდერებს, დემაგოგებს , ჩვეულებრივ პოლიტიკოსებს და სამოქალაქო ლიდერებს. ამგვარი დაყოფა უმეტესწილად ხდება მათი მიღწევების , თვისებების, მეთოდების და მიზნების მიხედვით. **ნამდვილი ლიდერები** არიან პოლიტიკური არქიტექტორები, რომლებიც ახალ სახელმწიფოებს ქმნიან, მშვიდობისმყოფელები, რომლებიც კონფლიქტებს აგვარებენ და ორატორები, რომლებსაც ეროვნული კრიზისის დროს ხალხის შთაგონება შეუძლიათ . ისინი არიან წარსულის დამფუძნებლები , აწმყოს გზამკვლევები და მომავლის ლეგენდეები. გარდა ამისა, ნამდვილი ლიდერები მართვის ხელოვნებას , სახელმწიფოს გონივრულ გაძღოლას არიან ნაზიარებნი. ჭეშმარიტი ლიდერები მოტივირებულია არა მყიფე ეგოიზმით ან ვიწრო ჯგუფური კუთვნილებით , არამედ საყოველთაო საზოგადოებრივი სიკეთის გააზრებით. ჭეშმარიტ ლიდერებს ასევე ახასიათებთ ის, რასაც არისტოტელე კეთილგონიერებას , ანუ პრაქტიკულ სიბრძნეს უწოდებდა.

დემაგოგები ატყუებენ ხალხს და მანიპულირებენ მათი ნდობით თავისი კერძო მიზნის მისაღწევად. ისინი ინტრიგანები, წამქეზებლები და ომის გამჩაღებლები არიან.

თავდაპირველი გაგებით ,ძველ საბერძნეთში დემაგოგი იყო ლიდერი , რომელიც ჩვეულებრივი ხალხის საქმისათვის იღწვოდა. რეისათვის კი დემაგოგს უწოდებენ ისეთ ლიდერს , რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის ხალხის რწმენის ექსპოულატაციას ეწევა, აყალბებს სიმართლეს და ტყუილ დაპირებებს იძლევა. ზოგადად, დემაგოგი ითავსებს შეუზღუდავ პირად ამბიციას, მოუზომავ მეთოდებსა და ფართო სახალხო მიმზიდველობას.

თუკი ჭეშმარიტი ლიდერები იდეალს წარმოადგენენ, დემაგოგები რყვნიან , როგორც ჭეშმარიტების , ისე ლიდერობის არსს. გამორჩეული ლიდერები ცდილობენ სამართლიანობისა და საზოგადო სიკეთის დამკვიდრებას, დემაგოგები კი ასეთი ღირებულებებისათვის მხოლოდ იმდენად იღწვიან, რამდენადაც ეს მათ საშუალებას მისცემს მოიპოვონ საკუთარი პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად საჭირო უზომო ძალაუფლება, რაც სწორედ საზოგადოებრივი ინტერესის ხარჯზე ხდება.

დემაგოგები უწინარესად დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩნდებიან, სადაც ხალხის მხარდაჭერის მოპოვება აუცილებელი პირობაა უმაღლესი თანამდებობის დასაკავებლად. დიდი დემოკრატი ლიდერებისგან განსხვავებით , დემაგოგებს საზოგადოება იშვიათად თუი იმახსოვრებს მათი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ. თუმცა ზოგ შემთხვევაში ისინი წარუშლელ კვალს ტოვებენ, რაც მათი სიდიადის კიარა , პირიქით მათივე სამარცხვინო საქმიანობის შედეგია.

ჩვეულებრივი პოლიტიკოსები - ისინი არ სჩადიან არც დიდი ბოროტებას და არც დიდი სიკეთეს, მათი ქმედებები კონცენტრირებულია არჩევასა და გადარჩევაზე. .

პოლიტიკოსები არინ ადამიანები, რომელთა უპირველესი მიზანი არჩევითი თანანმდებობების მოპოვება და შენარჩუნებაა.

პოლიტიკოსებს ისევე, როგორც ნებისმიერი თანამდებობის მქონე პირთა უმეტესობას,

არც დიადი ხედვები აქვთ, არც განსაკუთრებული უნარები. დღიდან დღემდე ისინი თავიანთი შესაძლებლოების მაქსიმუმს აკეთებენ იმ შეზღუდვების პიორბებში, რომლებშიც მათ მოქმედება უწევთ. ყოველთვის, როდესაც მათ კარგი საქმის გაკეთება სურთ, სირთულეს ქმნის მორალური და ეთიკური საკითხების ცალსახად დაცვა. უფრო მეტ სირთულეს კი ის ქმნის, რომ თავზე პოლიტიკური რისკის აღება უწევთ. ზოგადად ისინი კორუმპირებულნი არ არიან, მაგრამ ხშირად კორუფციისადმი

მიდრეკილებას ამჟღავნებენ. ისინი ადამიანების უმეტეს ნაწილზე არც უკეთესები არიან და არც უარესები _ ისინი ჩვეულებრივები არიან.

პრობლემა მაშინ წარმოიშობა, როდესაც მოქალაქეებს განსაკუთრებული ლიდერის მოთხოვნილება უჩნდებათ. დემოკრატიებშ პოლიტიკოსებს ერთ-ერთი საწინააღმდეგო მოლოდინებს შორის ლავირება უწევთ. მათგან მოელიან იმას, რომ ისეთივე ჩვეულებრივები იყვნენ, როგორც რიგითი მოქალაქეები; ამავდროულად, მათგან თავიანთი მოვალეობებისა და ქვეყნისადმი უჩვეულო თავდადების გამომჟღავნებას მოითხოვენ. დემოკრატიულ საზოგადოებაში სავარაუდო ლიდერი მარადიული კითხვის წინაშე დგას: იმოქმედოს, როგორც თავისი ამომრჩევლების დელეგატმა და აღასრულოსმათი სურვილები, თუ იმოქმედოს, როგორც ნდობით აღჭურვილმა პირმადა დამოუკიდებლად იმსჯელოს ხალხის სახელით. თავად პოლიტიკური სისტემამოითხოვს არჩეული წარმომადგენლებისგან, იყვნენ

გულისხმიერნი, თუკი მათსურთ კვლავაც აირჩიონ. მაგრამ ჭეშმარიტი ლიდერები არ მიჰყვებიან მასას, ისინიმას წინ მიუძღვიან და სწორედ ამაშია პოლიტიკოსობის დილემა.

სამოქალაქო ლიდერებს არ აქვთ ოფიციალური საჯარო თანამდებობები, მაგრამ აქტიურად არიან , ჩაბმულნი ერის პოლიტიკაში და მნიშვნელოვანწილად შეუძლიათ მისი განსაზღვრა. ხშირად მსგავსი დაყოფა თეორიულად გაცილებით იოლია ვიდრე მისი პრაქტიკაში გადატანა. მაგალითად თუ ავიღებთ ერთ კონკრეტულ პიროვნებას იგი შეიძლება საზოგადოების ნაწილისთვის ლიდერი იყოს , ნაწილისთვის ჩვეულებრივი პოლიტიკოსი , ზოგი კი მას შეიძლება დემაგოგადაც კი აღიქვამდეს.

სახელმწიფო მოღვაწეობა მოითხოვს იშვიათ ცოდნას და როგორც პრობლემის გამოცნობის ისე მისი გადაჭრის გზების მოძიების უნარს. ამ თვალსაზრისით ჭკვიანი ლიდერები გვაგონებენ ექიმებს , რომელთა წარმატება გამოიხატება არა ფინანსების ოდენობით , არამედ იმ ერთობის ჯანმრთელობით , რომელსაც ისინი ემსახურებიან.

ასევე ლიდერზე და მის თვისებებზე საუბრობს **ნიკოლო მაკიაველი** თავის წიგნში **„მთავარი“ ,** სადაც იგი საუბრობს იმაზე თუ , როგორ უნდა მოიპოვო, შეინარჩუნო და გააფართოვო ძალაუფლება. მაკიაველი წერდა :, განვიხილოთ თუ როგორ უნდა იქცეოდეს მთავარი თავისი ქვეშერდომებისა და მეგობრების მიმართ. მართველნი თავისი ქმედებებით თვითონვე უწყობენ ხელს მათ დამხობას ვიდრე დღეგრძელობას. ამიტომ მთავარს, რომელსაც ძალაუფლების შენარჩუნება სურს, უთუოდ უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ დროდადრო ივიწყებდეს სიკეთეს და, გარემოებების მიხედვით, იყენებდეს ან არ იყენებდეს ამ უნარს.

მთავრებს , ჩვეულებისამებრ ყოველთვის მიაწერენ ერთ იმ თვისებათაგანს, რომელ-თა გამოც მათ ადიდებენ ან გმობენ: სახელდობრ, ერთს გულუხვად თვლიან, მეორეს ძუნწად, ერთს მფლანგველად მიიჩნევენ, მეორეს მტაცებლად, ერთს გულქვად, მეორეს გულმოწყალედ; ერთს მორწმუნედ, მეორეს ურწმუნოდ, და ასე შემდეგ. ვიცი ყველა დამეთანხმება, რა დიდებული იქნებოდა, მართლაც რომ მოიძებნებოდეს ყველა იმ თვისებით შემკული მთავარი, რომელსაც ქების ღირსად თვლიან, მაგრამ რაკი თვით ჩვენი არსებობის წესი შეუძლებელს ხდის იმას, რომ კაცი უკლებლივ ფლობდეს ყველა იმ ღირსებას და არასდროს არ ბღალავდეს მათ, ამიტომ მთავარი იმდენად კეთილგონიერი კი უნდა იყოს, რომ თავიდან იცილებდეს მთელს იმ

ბიწიერებას, რასაც შეუძლია ძალაუფლება დააკარგვინოს, და, შეძლებისდაგვარად, ირიდებდეს ყველა იმ ბიწსაც, რომლებიც ნაკლებ საშიშნი არიან ამ თვალსაზრისით.

თუ ზემოჩამოთვლილი თვისებების პირველი წყვილით დავიწყებთ დიდი საქმეა გულუხვის სახელი გქონდეს მოხვეჭილი, მაგრამ თუ მთავარი იმიტომ იჩენს სიუხვეს, რომ გულუხვის სახელი ერქვას, ეს მხოლოდ საზიანოა მისთვის. რადგან თუ გონივრულად და ზომიერად გამოიჩენ სიუხვეს, ის შეუმჩნეველი დარჩება და თავიდან ვერ აიცილებ ძუნწის სახელისგან განუყრელ სირცხვილს. ამიტომ, თუ გსურს ხალხის თვალში გულუხვი კაცის სახელი გერქვას, ვერავითარ ფუფუნებასა და ხელგაშლილობაზე ვერ იტყვი უარს. ესოდენ ფუჭი ზრახვით შეპყრობილი მთავარი ამ საქმეს გადააგებს მთელ თავის ავლა-დიდებას, და თუ უკვე მოხვეჭილი სახელის შენარჩუნებას დაისახავს მიზნად, ბოლოს და ბოლოს, იძულებული იქნება გადასახადებით ამოხადოს სული ხალხს, მებაჟედ იქცეს და სახსრების მოსაპოვებლად არაფრის წინაშე არ დაიხიოს უკან. ასე თანდათანობით შეაძულებს თავს ქვეშევრდომებს და, გაღატაკებული, საბოლოოდ დაკარგავს მათ პატივისცემას. ბევრს რომ მოიმდურებს ამ თავისი სიუხვით და ცოტას მოიმადლიერებს, თავს ვეღარ გაართმევს ვერავითარ სიძნელეს და პირველივე განსაცდელის წინაშე სულით დაეცემა. ხოლო თუ მიხვდება ყოველივე ამას და უკან დახევას დააპირებს, მაშინვე სიძუნწეში დასდებენ ბრალს. ამრიგად, მთავარი, რომელსაც არ შეუძლია გულუხვობა გამოიჩინოს ისე, რომ ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედოს და თვითონ მას კი არა ევნოს რა, იმდენად კეთილგონიერი მაინც უნდა იყოს, რომ არ უფრთხოდეს ძუნწის სახელს, რადგანაც დროთა განმავლობაში ის სულ უფრო და უფრო მეტად გაითქვამს სახელს თავისი სიუხვით, როცა დაინახავენ, რომ ხელმომჭირნეობის წყალობით, საკუთარი შემოსავალი სავსებით საკმარისია მისთვის; რომ შეუძლია საკადრისი პასუხი გასცეს მტერს და, ხალხის დაუბეგრავად, ხორცი შეასხას ბევრ სასიკეთო საქმეს. ასე რომ, ის გულუხვი იქნება ყველას მიმართ, ვისაც არაფერს ართმევს, ისინი კი ურიცხვნი არიან, და ძუნწი იმათ მიმართ, ვისაც არაფერს აძლევს, ხოლო ისინი ცოტანი არიან.

მსგავსად სიძუნწისა მაკიაველი ასევე აღწერს მთავრის მხრიდან სიუხვის გამოჩენასა და მის შედეგებზე. არაფერს არ შეუძლია თავისი თავი გალიოს ისე, როგორც სიუხვეს, რაც უფრო გულუხვი ხარ, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობა გრჩება მომავალშიც გულუხვობის გამოჩენისა: გაღატაკდები და ზიზღის ღირსი გახდები, ამ სირცხვილის თავიდან ასაცილებლად კი მტაცებლობას უნდა მიჰყო

ხელი და ყველასათვის საძულველი შეიქნე. ხოლო მთავარი იშვიათად უნდა უფრთხოდეს რაიმეს უფრო მეტად, ვიდრე სიძულვილსა და ზიზღს, გულუხვობა კი ერთსაც დაგატეხს თავზე და მეორესაც. ამიტომ უფრო გონივრულია, შეურიგდე ძუნწის სახელს, რომელიც იწვევს სირცხვილს სიძულვილის გარეშე, ვიდრე მიელტვოდე გულუხვის სახელს და, ძალაუნებურად, მტაცებლად იქცე, რაც თავს დაგატეხს სირცხვილსაც და სიძულვილსაც.

ყოველი მთავარი უნდა ცდილობდეს გულმოწყალე კაცის სახელი მოიხვეჭოს და არა სასტიკის. მაგრამ უთავოდ არ უნდა იყენებდეს გულმოწყალებას. მთავარი არაფრად უნდა აგდებდეს გმობას სისასტიკის გამო, თუკი ამის წყალობით ახერხებს იმას, რომ განხეთქილებისა და განდგომის საშუალება მოუსპოს თავის ქვეშევრდომთ. რადგანაც ის, ვისთვისაც ურჩთა დასჯის რამდენიმე მაგალითიც საკმარისია, გაცილებით უფრო გულმოწყალე იქნება იმაზე, ვინც თავისი მეტისმეტი გულმოწყალების შედეგად ხელს უწყობს ქვეყნის არევ-დარევას, რაც დასაბამს აძლევს ხოცვა- ჟლეტას და ძარცვა-გლეჯას, ეს კი მთელი მოსახლეობის ნამდვილი უბედურება გახლავთ, მაშინ როდესაც მთავრის მსჯავრი მხოლოდ ზოგიერთ კერძო პირს თუ იწირავს მსხვერპლად.

მაკიაველი ზემოთ აღნიშნულ თვისებებს მთავრისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად თვლიდა , თუმცა იქვე აღნიშნავდე იმ ზოგად თვისებებსაც, რომელსაც უნდა ფლობდეს იგი. კერძოდ კი, მთავარი უნდა ცდილობდეს თავიდან აიცილოს ყველაფერი, რაც მას ზიზღისა და სიძულვილის საგნად აქცევს; სიძულვილის საგნად მას, უწინარეს ყოვლისა, აქცევს მგლური სიხარბე და თავის ქვეშევრდომთა საკუთრებისა და მათი ცოლების პატივის ხელყოფა, რისგანაც თავის შეკავება მართებს. და თუ ხალხს, საერთოდ, არც საკუთრებას წარსტაცებ და არც პატივს აჰყრი, ის კმაყოფილია, და ბრძოლა მოგიწევს მხოლოდ ცალკეულ პირთა პატივმოყვარეობის დასათრგუნავად, რაც ადვილი საქმე გახლავთ. მთავარი ზიზღს იწვევს მაშინ, როცა მას მერყევ, თავქარიან, სულმოკლე, მხდალ და გაუბედავ კაცად თვლიან, რასაც ის ჭირის დღესავით უნდა უფრთხოდეს, და არაფერს უნდა ზოგავდეს საიმისოდ, რომ ყოველი მისი მოქმედება სიდიადის, დიდსულოვნებისა და სიმტკიცის ნიშნით იყოს აღბეჭდილი, ხოლო მისი თვითეული გადაწყვეტილება ქვეშევრდომთა თვალში ურყევი ნების გამოვლენად ჩანდეს, რათა ვერავინ გაბედოს მისი მოტყუება თუ გაცურება. მთავარი, რომელიც ამნაირ სახელს მოიხვეჭს, დიდი გავლენით სარგებ-

ლობს ხალხში; ძნელია შეთქმულების მოწყობა მის წინააღმდეგ და ძნელია მასზე თავდასხმა, ვინაიდან ყველას კარგად მოეხსენება, რომ ის ღირსეული და ქვეშევრდომთა მიერ პატივცემული კაცია. მთავარს ხომ ორმაგი საფრთხე ემუქრება: ჯერ ერთი, შიგნით, თავისსავე ქვეშევრდომთაგან, და მეორეც, გარედან, – უცხოელ მბრძანებელთა მხრივ. ამ უკანასკნელთაგან ის თავს იცავს ძლიერი ლაშქრისა და ერთგული მეგობრების წყალობით; ხოლო ერთგული მეგობრები არ დაგელევა, თუკი გეყოლება ძლიერი ლაშქარი.

საბოლოოდ კი შეგვიძლია ვთქვათ , რომ მაკიაველის აზროვნებას ბრწყინვალედ აჯამებს ციტატა ამავე წიგნიდან „მთავარი“ : **„ერთია, როგორ ცხოვრობენ და მეორე ის, თუ როგორ უნდა ცხოვრობდნენ კაცნი, და მათ შორის იმხელა სხვაობაა, რომ ვინც იმის გულისათვის, რაც უნდა მომხდარიყო, ივიწყებს იმას, რაც ახლა ხდება, – უმალ თავის დამხობას უწყობს ხელს, ვიდრე თავისსავე დღეგრძელობას.“** [3]

და ბოლოს თუ შევაჯამებთ ზოგადად ლიდერის კატეგორიას თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ერთ ერთი ყველაზე რთული ფენომენია , ხოლო მისი სირთულე გამოწვეულია ლიდერის სხვადასხვა კატეგორიებით. ლიდერად ყოფნა სულაც არ არის მხოლოდ ადამიანის კონკრეტულ უნარებზე დამოკიდებული, არამედ ლიდერი იმიტომ არის ლიდერი , რომ მას აძლევენ ამის უფლებას და აღიარებენ , როგორც ლიდერს.

4.2 ქალების ჩართულობა პოლიტიკურ საქმიანობაში

ქალები თავიანთი უფლებების მოსაპოვებლად იბრძვიან უძველესი დროიდან. ქალის როლი პოლიტიკასა თუ ბიზნეში განსაკუთრებით გამოიკვეთა XX-XXI საუკუნეებში. საერთაშორისო არენაზე ქალების თანასწორუფლებიანობის მიზნის

მისაღწევად 1979 წლის 18 დეკმბერს გაერომ მიიღო კონვენცია ქალების მიმართ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ. აღნიშნული დოკუმნეტის პრაქტიკაში განხორციელებისას წარმოიშვა გარკვეული სირთულეები , რაც გამოიხატა ქალების მხრიდან თავიანთი უფლებების სამართლებრივი ცოდნის დაბალ დონეში.

შეუძლია თუ არა ქალს დაიკავოს მაღალი თანანმდებობები , ჰქონდეს საქმიანი ურთიერთობები ინტელექტუალებთნ , იმუშაოს მაღალ პოლიტიკურ თანანმდებობეზე და ზოგადად შეუძლია თუ არა ქალს იყოს კაცის თანასწორი.

ყველასათვის ცნობილია, რომ მსოფლიო მოსახლეობის 50%-ს ქალები შეადგენენ. მიუხედავად ამისა, ისინი არ მონაწილეობენ სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში , რადგანაც მათ არ აქვთ საკმარისი წვდომა ძალაუფლებასთან და პოლიტიკურ რესურსებთან.

ქალებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს სხვადასხვა სფეროში, თუმცა პოლიტიკურ არენაზე მაინც ცოტანი არიან. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა განსაკუთრებით მცირე რაოდენობის ჩართულობა თანაბრადაა დამახასიათებელი როგორც უკვე გამოცდილ, ასევე ახალი დემოკრატიებისათვის. საყოველთაო საარჩვენო უფლებამ ვერ უზრუნველყო ქალთა წარმომადგენლობის მაღალი დონე. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც , რომ მთავარი გამოწვევა პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდა არ არის , არამედ არსებული სტერეოტიპების დამსხვრევა, რომლის მიხედვითაც, საჯარო სივრცე მხოლოდ კაცების მოქმედების არეალია.

XX საუკუნის ბოლოსათვის ქვეყნების 95%-ში ქალებს მოპოვებული ჰქონდათ საარჩევნო უფლებები, 1998 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით ქალი ლიდერი ჰყავდა პარტიების მხოლოდ 11%-ს, ხოლო პარლამენტარიქალები მსოფლიო პარლამენტართა რიცხვის 11,4%-ს შეადგენდნენ. 2006 წლისათვის უმნიშვნელოდ მოიმატა ქალთა რიცხვმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში და საშუალოდ 16,3% შეადგინა. [9]

რამდენად არის ქალის ადგილი პოლიტიკაში ? არის თუ არა მნიშვნელოვანი მათი როლი ქვეყნის მართვაში?ამ კითხვაზე პასუხი, როგორც წესი დამოკიდებულია ,იმაზე თუ ვინ არის ჩვენი რესპოდენტი, რადგანაც თუ ამ კითხვას დავუსმევთ მამაკაცებს მათი უმრავლესობა იტყვის , რომ ქალების ადგილი ოჯახშია და „ქალი“ და

„პოლიტიკა“ შეუთავსებელი ცნებებია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს , რომ დროსთან ერთად შეიცვალა პრიორიტეტებიც.

თანამედროვე საზოგადოებაში დღითიდღე იზრდება ქალების როლი. ასევე იზრდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მათი პროცენტი ეკონომიკაში , კულტურაში სოციალურ საზოგადოებაში და რაღა თქმა უნდა პოლიტიკაში. პოლიტიკაში ქალების მონაწილეობის არგუმენტები არის შემდეგი :

- *კონსტიტუციური უფლება,*
- *ინტერესთ ბალანსის საჭიროება,*
- *პოლიტიკა საერთო საქმეა.*
- *არსებული პრობლემები თანაბრად ეხება , როგორც კაცებს ასევე ქალებს , შესაბამისად გადაჭრის გზებშიც ორივე მათგანი თანაბრად უნდა ღებულობდეს მონაწილეობას.*

ასევე შეგვიძლია დავეყრდოთ **სამართლიანობის არგუმენტს,** ქალები შეადგენენ მოსახლეობის ნახევარს, ამიტომაც მათ აქვთ უფლება, შესაბამისად ფლობდნენ თანამდებობების ნახევარს. **სიმბოლური არგუმენტის** მიხედვით, ქალი პოლიტიკოსის აქტივობა ერთგვარიმისაბაძი მაგალითია და იზიდავს ქალებს პოლიტიკაში ჩართულობისაკენ, მიუხედავად იმისა თუ რომელ პარტიას ან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს იგი. **ინტერესთა სხვადასხვაობა** ქალებს და კაცებს ურთიერთსაპირისპირო და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესები აქვთ, და შესაბამისად, ამ ინტერებს მხოლოდ კაცები არ უნდა წარმოადგენდნენ . გარდა ამისა, ცნობილია, რომ 12-დან 9 ქვეყანა, სადაც საპარლამენტო მანდატების 33 %-ზე მეტს ქალები ფლობენ, განვითარების მაღალი დონით ხასიათდებიან, რადგანაც ქალებს უფრო მეტად სურთ, რომ წვდომა ჰქონდეთ განათლებაზე.

გარდა ამისა, ქალებს გააჩნიათ ისეთი თვისებები, რომელიც აუცილებელია ჰქონდეს ნამდვილ პოლიტიკოსს. ესენია: *ჰუმანურობა, სიფრთხილე, ინტუიცია, შრომისმოყვარეობა, დიპლომატიურობა , რეალისტურობა და ტაქტიკა.* პრაქტიკა გვიჩვენებს , რომ ქალი პოლიტიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს: ჯანდაცვის, ბავშვთა დაცვის, ეკოლოგიის , განათლების დასაქმების და სხვა მსგავს საკითხებს. ქალები ფლობენ დიდ სულიერ ძალას . მათ აქვთ უნარი დაამყარონ და განავითარონ კარგი ურთიერთობები ხალხთან . ქალთა პოლიტიკური საქმიანობა, ეს ახალი სფეროა . გავრცელებუ;ლი აზრის მიხედვით, პოლიტიკა ერთგვარი თამაშია და

ამ თამაშში დასარჩენად ძლიერი უნდა იყო , მაგრამ ბევრი ქალი ავლენს თვისებას იყოს ფოლადის ნებისყოფის, თავისი პრინციპების ერთგული, შორსმჭვრეტელი. ჩვენ უკვე აღარ გვაკვირვებს ქალები- პრემიერები, ქალები-კანცლერები, ქალები-პრეზიდენტები. გარდა ამისა ქალი მმართველები უფრო მშვიდობისმოყვარულები არიან , რადგან ქალებს არ აქვთ მიდრეკილება პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტისა. ხუმრობით ამბობენ , რომ თუ ყველა სახელმწიფოს მმართველი ქალი იქნება ,მაშინ მსოფლიოში არ იქნება ომები.

რაც შეეხება ბარიერებს. ქალთა ჩართულობა, მონაწილეობა და წვდომა ფორმალურ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე უკავშირდება უამრავ ბარიერს, რომელიც ქვეყნების მიხედვით იცვლება.არსებულ პოლიტიკურ სისტემებში ბევრი დაბრკოლებაა ქალთა პოლიტიკაში წინსვლისათვის, კერძოდ:

- პოლიტიკურ არენაზე მამაკაცები დომინირებენ, ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკური თამაშის წესებს და პოლიტიკოსის შეფასების სტანდარტებს;
- პოლიტიკა დაფუძნებულია შეჯიბრის ანუ გამარჯვება-დამარცხების პრინციპზე და არა ურთიერთპატივისცემაზე.
- ქალთა უფრო დაბალი ანაზღაურება და შესაბამისად დაბალი ეკონომიკური სტატუსი, წინასწარი განწყობა, რომ ქალის შემოსავალი მთლიანად ოჯახის საჭიროებებზე უნდა მიდიოდეს, არათანაბარ ფინანსურ სასტარტო პირობებს ქმნის ქალისა და მამაკაცისათვის.
- საოჯახო საქმეების არათნაბარი გადანაწილება და სხვა. [12]

რაც შეეხება საქართველოს. საქართველო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ინდიკატორით, კერძოდ, ქალთა რაოდენობით პარლამენტში მსოფლიოში 120-ე ადგილს იკავებს, 193 ქვეყანას შორის. გლობალური გენდერის ინდექსის მიხედვით, საქართველო 90-ე ადგილზე დგას 144 ქვეყანას შორის. ქალთა ჩართულობით პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, თუმცა, უშუალოდ პოლიტიკური მონაწილეობით და პარლამენტში ქალთა რაოდენობით 114-ე ადგილს იკავებს. აღნიშნული მონაცემებით საქართველო ჩამორჩება არა მხოლოდ ევროპულ და დასავლურ სახელმწიფოებს, არამედ ჩვენზე გაცილებით უფრო კონსერვატიულ სახელმწიფოებსაც,რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მაჩვენებელი არის ძალიან დაბალი და საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა დაახლოებით ოც წელს ითვლის .ამ პერიოდის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა განახორციელეს არაერთი საქმიანობა თემის აქტუალიზაციისა და ხელისუფლების ყურადღების მისაქცევად. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების, ქალ კანდიდატთა გადამზადებისა და პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობის პარალელურად,ინიცირებული იყო რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა თუ წინადადება. მიუხედავად ამ მცდელობებისა, საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდას, მცირე გამონაკლისის გარდა, მხარდამჭერები არ გამოუჩნდნენ. [12]

საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა არის ძალიან დაბალი, ხოლო ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესის ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა და ამ მიმართულებით ქმედითი ზომების განხორციელება. ნიშანდობლივია,რომ ეს საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში,არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში.

ისტორიამ ბევრი ქალი პოლიტიკოსი იცის , რომლებიც შევიდნენ პოლიტიკაში და წარმატებულად ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ქალ მმართველებს, მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე, კაცებზე ნაკლები გავლენა არ ჰქონდათ. წარმოგიდგენთ რამოდენიმე მათგანს.

თამარ მეფე (1160-1207/10)

თამარ მეფე - საქართველოს მონარქი 1184 წლიდან . თამარს საქართველოს ოქროს ხანაში მოუწია მეფობა და უაღრესად წარმატებული ქალი მართველი აღმოჩნდა. მისი მეფობის დროს საქართველო კავკასიის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. როგორც კი თამარი ტახტზე ავიდა, მაშინვე გადააყენა სამეფო მოხელეები, რომლებიც ხელისუფლებით ბოროტად სარგებლობდნენ, რითაც შეუმსუბუქა მდგომარეობა გლეხებს. გარდა ამისა, დასრულდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირება და ქვეყანაში მეფის ცენტრალური ხელისუფლება დამყარდა. ხანგრძლივი შუღლისა და მტრობის ეპოქა დასრულდა და ქვეყანაში სიმშვიდემ დაისადგურა. მეფემ საგარეო პოლიტიკასაც მიხედა: თურქეთის წინააღმდეგ წარმოებული ომის შემდეგ, თურქეთის ნაწილი დაიპყრო და ახლო აღმოსავლეთში

გაიმაგრა პოზიციები, შავი ზღვის სამხრეთით მდებარე ძველი ქართული მიწები დაიბრუნა, რომელიც კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, ვიდრე მას ბიზანტია დაიპყრობდა.

თამარმა ქვეყანა გააძლიერა და გაამყარა , როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ასევე კულტურის მხვრივადაც და მისი მეფობის წლებში საქარტელოს განათლებამ და კულტურამ უმაღლეს დონეს მიაღწია. ქვეყნის მაღალ განვითარებას განსაზღვრავდა სწავლა-აღზრდის საქმე. თამარის დროს სკოლები ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. საქართველოში მრავლად იყო რიტორიკული სკოლები. ქართული მონასტრების ოპიზის, ოშკის, შატბერდის, ბერთის, ხანძთის და სხვა მონასტრებთან არსებობდა სპეციალური შენობები, რომლებიც სკოლებისთვის იყო განკუთვნილი

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ , რომ ქალები პოლიტიკაში ეს მათი სამოქალაქო უფლებაა. ქალი პოლიტიკაში არ უნდა ითვლებოდეს ეგზოტიკად. უნდა შეიცვალოს საზოგადოების მიდგომები ამ საკითხის მიმართ. დღესდღეობით საჭიროზე მეტი ფაქტი ადასტურებს ქალთა ეფექტურ და პროფესიონალურ მოღვაწეობას პოლიტიკაში.

მარგარეტ ტეტჩერი (1925-2013)

„თუ გსურთ რაიმე ითქვას, ეს მამაკაცს სთხოვეთ, ხოლო თუ გსურთ, რომ რაიმე გაკეთდეს - მიანდეთ ქალს!"

ეს სიტყვები ალბათ სრულიად შეჰფერის დიდი ბრიტანეთის ისტორიაში სიცოცხლეშივე ლეგენდათ ქცეულ ერთადერთ პრემიერ ქალს და ბარონესას მარგარეტ ჰილდა ტეტჩერს.

მარგარეტ ჰილდა ტეტჩერი, ქალიშვილობის გვარი რობერტსი დაიბადა 1925 წელს, ლონდონის ჩრდილოეთით პატარა ქალაქში . დედა მკერავი იყო მამა კი ჩაისა და შაქარს ყიდდა. მარგარეტის აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანა მამამ , რომელიც ვაჟზე ოცნებობდა , თუმცა გოგონა შეეძინა და მის ხასიათში მამაკაური თვისებების სიჭარბეც სწორედ მისი წყალობაა. „არასოდეს შეწყვიტო მუშაობა , მუდმივად უნდა იმუშაო, რომ ცხოვრება უზრუნველყოფილი გქონდეს". მამის ამ სიტყვებს მარგარეტი ყოველთვის იხსენებდა და სულ აღნიშნავდა , რომ : „ყველაფერი რასაც მივაღწიე მხოლოდ მამაჩემის დამსახურებაა, მისი აღზრდისა და შეგონებების". [10]

მარგარეტი ყოველთვის ასაკისათვის შეუფერებლად ამბიციური იყო და ღრმა ბავშვობიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი , რომ გავლენიანი ადამიანი უნდა გამხდარიყო. სკოლაში ყოველთვის პირველობას ესწრაფოდა.

სკოლის დასრულების შემდეგ, სწავლა ოქსფორდის ქალთა კოლეჯ სამერვილში განაგრძო, სადაც ქიმიას სწავლობდა. მარგარეტი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში და ოქსფორდის უნივერსიტეტის კონსერვატორთა ასოციაციის წევრი გახდა. სწავლის დასრულების შემდეგ , მან მუშაობა დაიწყო ქიმიურ ლაბორატორიაში, მართალია სამუშაო დიდად არ ხიბლავდა , მაგრამ ყოველთვის მონდომებით მუშაობდა. ენერგიული ახალგაზრდა ქალი კონსერვატორებმა 1948 წელს დარტფორდის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარად წარადგინეს.

1951 წელს ტეტჩერმა ლონდონის ინდუსტრიულ ოლქ დარტფორდში საპარლამენტო არჩევნებში თავისი კანდიტატურა წამოაყენა, თუმცა დამარცხდა. სწორედ ამ არჩევნების დროს გაიცნო მან თავისი ცხოვრების თანამგზავრი, მდიდარი ბიზნესმენი **დენის ტეტჩერი** , რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის მარგარეტის კარიერულ წინსვლაში. ისინი თითქმის არასოდეს ერეოდნენ ერთმანეთის საქმიანობაში . მათ ერთნაირი შეხედულებები ჰქონდათ , როგორც პოლიტიკაში ისე ცხოვრებაში. დენისის ფული გახდა კარგი საშუალება მარგარეტისათვის დიდი პოლიტიკის ასაწყობად, რადგანაც არჩევნებს მარტო ტკბილი სიტყვებით ვერ მოიგებ.

ქორწინების შემდეგ მან აიხდინა დიდი ხნის ოცნება და შეისწავლა იურუსპრუდენცია. **„უნდა შევისწავლო სამართალი! ეს ჩემი პოლიტიკური საქმიანობისათვის მჭირდება“,** აღნიშნავდა იგი. 1954 წელს მარგარეტმა შეძლო და აიღო ადვოკატის მოწმობა. 1959 წელს არჩევნებში ფინჩლის ოლქში მძიმე გამარჯვება მოიპოვა და თემთა პალატის დეპუტატი გახდა. 1961 წელს საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპარლამენტო მდივნად დაინიშნა.

1965-1969 წლეებში ტეტჩერი პარლამენტის „ჩრდილოვან კაბინეტში“ საბიანო მშენებლობის საკითხთა მინისტრი იყო. სწორედ ამ პერიოდში მან ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრამა, რომელსაც შემდეგში **„ტეტჩერიზმი“** უწოდა.

1970-1974 წლეებში იყო განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. მან სათავეში მოსვლისთანავე დაწყებითი კლასის მოსწავლეებს შეუწყვიტა უფასო რძის მიწოდება,

გარდა ძალზე ღარიბებისა. ამით მან 19 მილიონი ფუნტი დაზოგა. საპასუხოდ კი მოსახლეობის პროტესტი მიიღო. მან ასევე გააძვირა სკოლის საუზმე , რომლის ფასი დიდი ხანი არ იყო შეცვლილი და ბრძოლა გამოუცხადა სასკოლო რეფორმას, რომელიც ლეიბორისტებმა წამოაყენეს. ტეტჩერს გამუდმებით ლანძღავდნენ და უპირისპირდებოდნენ , როგორც მოსახლეობა და ოპოზიცია, ასევე მთავრობაშიც. თუმცა ყოველგვარ შეურაცყოფას იგი გმირულად იტანდა და ჯიუტად ატარებდა ეკონომიის პოლიტიკას.

მარგარეტი გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისუნარიანობით, რომელიც ყველას აოცებდა. იგი 24 საათიდან 20 საათს მუშაობდა. მარგარეტი ყოველ დილით 6 საათზე დგებოდა და გვიან ღამემდე მუშაობდა . მას საშინლად სძულდა ზარმაცი და უსაქმური ადამიანები და ყველას მუშაობას აიძულებდა. სწორედ მისი დაუღალავი შრომის წყალობით მიაღწია ყველაფერს. **„ჩემი ცხოვრება ჩემი სამსახურია. ზოგი მუშაობს იმისათვის, რომ იცხოვროს, მე კი ვცხოვრობ იმისათვის, რომ ვიმუშაო“.**

1975 წელს კონსერვატორები დამარცხდნენ და სათავეში კვლავ ლეიბორისტები მოვიდნენ. ჰიტი პარტიის ლიდერის პოსტიდან გადადგა. ტეტჩერმა კი დაიწყო ბრძოლა კონსერვატორული პარტიის ლიდერობისათვის. როგორც წესი ამ პოსტზე ყოფილ შინაგან, საგარეო ან ფინანსთა მინისტრს ირჩევდნენ, თანაც მარგარეტს არც თუ ისე დიდი პოლიტიკური გამოცდილება ჰქონდა და არც ხალხში სარგებლობდა დიდი პოპულარობით. მას ყოველივე ამასთან ერთად კიდევ ერთი ნაკლი ჰქონდა იგი ქალი იყო.

მიუხედავად ამ ყველაფრისა მან მოახერხა და ყველა დაარწმუნა იმაში , რომ პირველობის ღირსი იყო და 1975 წელს კონსერვატორული პარტიის პირველ ქალ ხელმძღვანელად აირჩიეს. იგი დაუღალავად შეუდგა მუშაობას ქვეყნის აღმშენებლობისათვის .

1979 წელს ლეიბორისტულ პარტიაში მოხდა განხეთქილება, რის შემდეგაც მათ დაკარგეს ძალაუფლება . ქვეყანაში ჩატარდა ვადამდელი არჩევნები, რომელშიც კონსერვატორებმა ტეტჩერის მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და მარგარეტი დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ერთადერთი ქალი პრემიერი გახდა .

ასე დაიწყო ევროპის პირველი და ინგლისის ერთადერთი ქალი ხელისუფალის პრემიერობა , რომელმაც 11 წელს გასტანა. ამდენ ხანს ამ პოსტზე მე -20 საუკუნეში არავინ მჯდარა.

მარგარეტ ტეტჩერი უაღრესად საინტერესო ფენომენს წარმოადგენდა. იგი იყო ქალი, რომელმაც შექმნა არა მხოლოდ ბრიტანეთის, არამედ მსოფლიოს პოლიტიკის გარკვეული ეპოქა და შეიმუშავა ახალი პოლიტიკური მიდგომა , რომელიც შემდგომში ტეტჩერიზმის სახელით დამკვიდრდა პრაქტიკაში.

ტეტჩერი უდიდესი პოლიტიკოსი ქალი იყო, რომელმაც შეცვალა არა მხოლოდ ბრიტანეთის არამედ მსოფლიო პოლიტიკური კლიმატი. ტეტჩერს სურდა ინგლისისათვის პრესტიჟი და სიძლიერე დაებრუნებულა. პრემიერობის დროს შემწეობა მინიმუმადე დაიყვანა , რითაც მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა მან შეძლო და იხსნა ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფისაგან. ასევე მან წარმატებული საგარეო პოლიტიკით ბრიტანეთი საერთაშორისო ასპარესზე დააბრუნა. ჩერჩილის შემდეგ ბრიტანეთს ასეთი საერთაშორისო გავლენა არ ჰქონია.

პრემიერის პოსტზე ყოფნის დროს ტეტჩერმა კიდევ უფრო განიმტკიცა შეუდრეკელი და მტკიცე ნებისყოფის მქონე პოლიტიკოსის სახელი. მან მიზნად დაისახა, თავისი გავლენის ქვეშ მოექცია მინისტრთა კაბინეტი . იგი არასოდეს ერიდებოდა მკაცრი და დაუნდობელი ტონით ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლების მხილებას. ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც ტეტჩერს ურთიერთობა გამოსდიოდა დედოფალი ელიზაბეთ მეორე იყო.

მარგარეტ ტეტჩერმა მთელი თავისი საზოგადოებრივ- პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე ყველას დაუმტკიცა, რომ ის ნამდვილად **„რკინის ლედი“** გახლდათ. მას სხვადასხვა მეტსახელით მოიხსენიებდნენ **„ჯავშნოსანი ტანკი“, „მოუსვენარი კუდიანი“** და ა.შ. თუმცა რუსების მიერ შერქმეული მეტსახელი **„железная дама“** შემდეგ მთელმა მსოფლიომ აიტაცა.

1990 წელს ტეტჩერმა პრემიერ მინისტრის პოსტი დატოვა და იგი ჯონ მეიჯონს დაუთმო , მან განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი პარტიის ერთიანობისა და ინტერესების დაცვის მიზეზით გადადგა. 1992 წელს კი სულ დატოვა პოლიტიკა .

რკინის ლედმა თავისი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ამქვეყნად მიუღწეველი არაფერია. მან შეძლო ბრიტანეთი ექცია მოდერნიზებული, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოდ. განემტკიცებინა ქვეყნის პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე. სწორედ ამაში მდგომარეობს რკინის ლედის ფენომენი უნიკალურობა, საიდუმლო იმ პოლიტიკოსი ქალისა , რომელმაც შექმნა მთელი ეპოქა.

პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ მარგარეტმა დაწერა წიგნი **„სახელმწიფოს მართვის ხელოვნება“** . ამიერიდან მარგარეტი აქტიურ ცოვრებას ჩამოშორდა , თუმცა

შესაძლებლობების მიცემის შემთხვევაში კიდევ დიდი ხნის მანძილზე აკეთებდა სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე განცხადებებს.

2007 წელს მარგარეტი გახდა პირველი პრემიერი, რომელსაც სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი პარლამენტში. მისი ბრონზეს ქანდაკება მისივე კუმირის უისტონ ჩერჩილის ქანდაკების პირდაპირ დგას.

მარგარეტ ტეტჩერი 2013 წლის 8 აპრილს ინსულტის შედეგად 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ინდირა განდი (1917-1984)

ინდირა განდი დაიბადა 1917 წელს ცნობილი ადვოკატის ოჯახში. განდის ოჯახი ინდური საზოგადოების ყველაზე მაღალ და მდიდარ კასტას მიეკუთვნებოდა. რელიგიურმა მშობლებმა მას ასწავლეს, რომ სიმდიდრე ცხოვრებაში ყველაზე მთავარი არ არის.

ინდირა განდი ინდოეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკური ლიდერი იყო. მიუხედავად განთქმული გვარისა , მას მაჰათმა განდისთან ნათესაობა არ აკავშირებდა. ძალაუფლების მწვერვალზე მოსახვედრად ინდირას ხელს მამა უწყობდა.

ინდირა განდი წყნარი და გამჭრიახი გოგონა იყო. ინდირა განდი ყოველთვის აღნიშნავდა , რომ ბავშვობიდანვე მისი ყველა გსართობი და ყველა მისი თამაში პოლიტიკას უკავშირდებოდა და მუდამ საბრძოლველად იყო შემართული. პატარაობიდანვე განსაკუთრებული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა მამასთან, რომელიც მაჰათმა განდისთან ერთად ინდოეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ერთ-ერთი მთავარი მებრძოლი იყო. სწორედ მაჰათმა განდი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ინდირას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. მამამ ჯავაჰარლარ ნერუმ, ქვეყნის პრემიერ მინისტრმა და ცენტრალურმა ფიგურამ ინდოეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ინდირა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში ჩართო. მამასთან ერთად ინდირა ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებში და მისი პრემიერ მინისტრობის დროს არაოფიციალურ ითანაშემწის როლსაც კი ასრულებდა.

ძლიერი ნებისყოფის მქონე ქალბატონმა ძალაუფლების და წარმატების ფასი ნამდვილად იცოდა ისე, როგორც სხვამ არავინ. მან არა მარტო ბრწყინვალე შედეგებს

მიაღწია, როგორც პოლიტიკოსმა, არამედ სამუდამოდ შეინარჩუნა თავისი ხალხის გულებში სრულიად ინდოეთის დედის სახელი, ღვთებასთნ მიახლოებული სიმბოლო.

პოლიტიკურ მწვერვალებზე ასასვლელად ინდირა, როგორც ჩანს ადრიდანვე ემზადებოდა. მან თავისი სპარსული წარმოშობის მეუღლე ფეროზ ხანის გვარი შეცვალა ისეთზე, რომელიც საუკეთესოდ მოერგებოდა დამოუკიდებელი ინდოეთის ცნებას. სწორედ ამიტომ, მან ხანი განდათ გადააკეთა. მაჰათმა განდისთან ნათესაური კავშირის არ არსებობის მიუხედავად, ინდირას, როგორც მომავალი მმართველის „ისტორიულმა“ ლეგიტიმურობამ უფრო მეტი წონა შეიძინა.

1934 წელს ინდირამ თაგორის დაარსებულ სახალხო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. 2 წლის შემდეგ კი ოქსფორდის უნივერსიტეტში. აქვე გაიცნო თვისი მომავალი მეუღლე ფეროზ ხანი/განდი. ომის გამო ინდირა განდი იძულებული გახდა ინდოეთში დაბრუნებულიყო. ამ პერიოდში ქვეყანაში გამძლავრდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათის , სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს ნერუ თამშობდა. ინდირა აქტიურად უჭერდა მხარს მამას, რომელსაც თავიდანვე მაღალი თანამდებობები ეკავა. ჯერ დროებით მთავრობაში , ხოლო როცა ინდოეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა ნერუ პრემიერ მინისტრი გახდა. ინდირა კი მამის მთავარი მდივანი და თანაშემწე იყო. ორივე მათგანისათვის პოლიტიკური მოღვაწეობა პრიორიტეტი იყო.

ინდირას ცხოვრებაშიპოლიტიკურ წინსვლას ყოველთვის სდევდა პირადი უბედურებანი. 5 წელზე ნაკლებ დროში მან დაკარგა თავისი ცხოვრების ორი უმთავრესი მამაკაცი, მამა და ქმარი. თუმცა ამ ტკივილმა იგი უფრო ძლიერი გახადა. პირად დანაკარგებში იგი უფრო დიდ ძალას პოულობდა ბრძოლის გასაგრძელებლად. 1964 წელს ის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატი გახდა, 1966 წელს კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. აღნიშნულ თანამდებობებზე ყოფნის პერიოდში ინდირა განდიმ მთელი რიგი გადაწყვეტილებები მიიღო, რომლებმაც ინდოეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებას შეუწყო ხელი.

ინდირა განდიმ არა მარტო ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია , როგორც პოლიტიკოსმა, არამედ სამუდამოდ შეინარჩუნა თავისი ხალხის გულებში „სრულიად ინდოეთის დედის“ სახელი. ღვთაებასთან მიახლოებული სიმბოლო. ინდირა განდის მმართველობის უკანასკნელ წლებში მოხდა მისი, როგორც ეროვნულ გმირად

შერაცხვა და ინდოეთში პრაქტიკულად პიროვნების კულტი ჩამოყალიბდა. **„ინდირა ინდოეთია და ინდოეთი ინდირაა“** ამტკიცებდნენ მისი მომხრეები.

ინდირა განდი 1984 წელს სიქჰების მიერ იქნა მოკლული, რომლებიც ტერორის გამოყენებით ცდილობდნენ პენჯაბის შტატის დამოუკიდებლობის მიღწევას. იგი საკუთარი დაცვის ორმა წევრმა მოკლა.

მან მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერა: „ამ ცხოვრებაში ჩემთვის გამოყოფილ ყოველ დღეს ხალხისათვის სამსახურს დავუთმობ. მაშინაც კი, როდესაც გარდავიცვლები. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სისხლის წვეთი ინდოეთის ცხოვრებას საზრდოდ გამოადგება და მას უფრო ძლიერს გახდის.

ინდოეთში ინდირა განდის სახელს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. იგი პირველი ქალი გახდა ინდოეთში, რომელმაც პოლიტიკურ დიდებას მიაღწია. იგი დღემდე რჩება მტკიცე ნებისყოფის , შეუდრეკელი სულის და თავისი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის მაგალითად. იგი მთელი ქვეყნის დედა გახდა, ხოლო პირადი ბედნიერება და თავისი ცხოვრება სამსხვერპლოზე უანგაროდ დადო.

ბენაზირ ბჰუტო (1953-2007)

ბენაზირ ბჰუტო დაიბადა 1953 წელს პაკისტანში. იგი იყო პირველი შიიტი მუსლიმი ქალი, რომელსაც ეკავა პაკისტანის ისლამური რესპუბლიკაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. იგი ყოფილი პერმიერ-მინისტრის ***ალი ბჰუტოს*** ქალიშვილი იყო.

1977 წელს მამამ ბენაზირი თავის თანაშემწედ დანიშნა. ამ რანგში მუშაობა მან ცოტა ხნით შეძლო, რადგანაც 1977 წელს პაკისტანის გენერალური შტატის ხელმძღვანელმა ***ზიაულ ჰაკმა*** მოაწყო სამხედრო გადატრიალება და ქვეყანაში სამხედრო რეჟიმი დაამყარა, მთავრობა კი დაითხოვა. ხოლო პრემიერ-მინისტრს ანუ ბენაზირის მამას კი ბრალი დასდეს თავისი პოლიტიკური ოპონენტის შეკვეთილ მკვლელობაში, რის გამოც 1979 წელს სიკვდილით დასაჯეს. გარდა ამისა სამხედრო გადატრიალების შემდეგ თვით ბენაზირიც შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ბენაზირი იძულებული გახდა ჩაბმულიყო პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი თავის მემუარებში: **„აღმოსავლეთის ქალიშვილი“** წერს: **„მე არ ამირჩევია ეს ცხოვრება, ეს მან ამირჩია მე“.**

1984 წელს იგი დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა. დევნილობაში ყოფნის დროს ხელმძღვანელობდა მამის მიერ დაარსებულ *პაკისტანის სახალხო პარტიას* . მან სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ 1988 წელს შეძლო, როდესაც გარდაიცვალა პრეზიდენტი. მან მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო არჩევნებში, სადაც ერთმანეთშ პაკისტანის სახალხო პარტია ბჰუტოს ხელმძღვანელობით და პაკისტანის მუსლიმური ლიგა დაუპირისპირდა. არჩევნები ბჰუტოს გამარჯვებით დასრულდა და მან პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა. ამ გამარჯვებას ხელი შეუწყო ბჰუტოს მამის პოპულარობამ პაკისტანში. მან ამ თანანმდებობაზე მხოლოდ ორი წელი გაატარა 1988-1990 წლეები.

თანანმდებობა მიიღო ასევე ბჰუტოს მეუღლემაც, რომელიც ფინანსთა მინისტრი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა მთავრობამ გაატარა მთელი რიგი წარმატებული რეფორმებისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პერიოდში საგრძნობლად იმატა კორუფციამ და ამ სკანდალებში არაერთხელ გაისმა ბჰუტოს ქმრის სახელი, რომელსაც ბრალს უყენებდნენ არა მხოლოდ პაკისტანის არამედ დიდი ბრიტანეთისა და შვეიცარიის სამართალდამცავი ორგანოები. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე ბენაზირი ხშირად მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ. გარდა ამისა, მან მიიღო რამდენიმე დაუფიქრებელი და წარუმატებელი გადაწყვეტილება, რის გამოც 1990 წელს პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინენტი დაითხოვა. თუმცა სამი წლის შემდეგ 1993 წელს ბჰუტომ კვლავ მოახერხა და პრემიერობის მეორე ვადით აირჩიეს. იგი კორუფციასა და სიღარიბესთან ბრძოლის ლიზუნგით გამოდიოდა. მეორე ვადაში მან ქვეყანაში მასშტაბური რეფორმები გაატარა კერძოდ კი მოიზიდა თანხები სოციალური პროგრამების განსახორციელებლად, დაიწყო ნავთობსადენების ნაციონალიზაცია, ქვეყანაშ შეამცირა უწიგნურობის დონე, სოფლები და ქალაქები უზრუნველყო ელექტროენერგიითა და სასმელი წყლით. შემოიღო უფასო ჯანდაცვა და განათლება და მან გაატარა ქვეყნისათვის სასიკეთო მსგავსი არაერთი რეფორმა. პაკისტანის განვითარების ტემპი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მეზობელი ინდოეთის. მისმა რეფორმებმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა არა მარტო ქვეყანაში, სადაც იგი ფანატიკური თაყვანისცემის ობიექტი იყო, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

საგარეო პოლიტიკაშიც ასევე წარმატებული აღმოჩნდა მისი ქმედებები. მან ავღანური მოძრაობა თალიბანის დახმარებით დიდი დარტყმა მიაყენა ნარკოტიკებით ვაჭრობას.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად ზემოთაღნიშნული წარმატებებისა კორუფცია მისი მმართველობის ყველაზე სუსტი წერტილი იყო. კორუფციამ უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწია ვიდრე პრემიერობის პირველ ვადაში. მისი ქმარი კვლავ დაადანაშაულეს ქრთამის აღებაში. ყოველივე ამან მომდევნო წლებში გამოიწვია მისი პოპულარობის დაცემა.

1997 წელს საპარლამენტო არჩევნებში პაკისტანის სახალხო პარტია დამარცხდა, ხოლო 1998 წელს ბენაზირს, მის ქმარს და დედას ოფიციალური ბრალი წაუყენეს და დადანაშაულეს კორუფციაში. იგი იძულებული გახდა მეორედ დაეტოვებინა ქვეყანა და შვილებთან ერთდ დუბაიში გადასახლდა. მან სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ 8 წლის შემდეგ 2007 წელს შეძლო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბჰუტო აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბოლოოდ იგი ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდა. იგი მიტინგზე სიტყვით გამოდიოდა, რომლის დროსაც მან სასიკვდილო ჭრილობა მიიღო. თავდასხმამდე რამდენიმე წუთით ადრე მან განაცხადა: **„მე საფრთხეში ვაგდებ ჩემს სიცოცხლეს, რადგან ჩემი ქვეყანა საფრთხეშია. ხახლი შეშფოთებულია, მაგრამ ჩვენ ყველა ერთად გამოვიყვანთ ქვეყანას კრიზისიდან.“**

1996 წელს ბჰუტო შევიდა გინესის წიგნში, როგორც წლის ყველაზე პოპულარული საერთაშორისო პოლიტიკოსი. მან ოქსფორდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება, საპატიო ლეგიონის ფრანგული ორდენი და მრავალი სხვა ჯილდო მიიღო.

4.3 ქალები პოლიტიკაში კვოტებით თუ მის გარეშე?

მრავალ ქვეყანაშ გვესმის ფრაზები, რომ **„პოლიტიკა ბინძური საქმეა“** , რომ **„ პოლიტიკა ქალების საქმე არ არის“.** აღნიშნული მოსაზრებები ერთის მხრივ თითქოსდა გამოხატავსზრუნვას ქალებზე, როგორც სუსტი სქესი წარმომადგენლებზე, მეორეს მხრივ კი პოლიტიკაში კონკრეტული ადამიანების

წვლილის დაკნინებას. თუ აღნიშნულ მოსაზრებასდავეყრდნობით უნდა ვიფიქროთ , რომ პოლიტიკა თავისთავად არის „ბინძური“. მათ ავიწყდებათ , რომ პოლიტიკას ადამიანები ქმნიან და მთელი პასუხისმგებლობაც სწორედ კონკრეტულ პიროვნებებზეა და არა ცალკე მდგომ აბსტრაქტულ პოლიტიკაზე.

რაც შეხეება ქალების ჩართულობას პოლიტიკაში. ეს საკითხი არაერთხელ ჭამოჭრილა არაერთ ქვეყანაში და ამ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა მეთოდები არსებობს, რომელთა შორის კვოტები უალტერნატივო ლიდერია, რომელსაც მრავალი ქვეყანა მიმართავს.

რა არის გენდერული კვოტირება? **„კვოტა“** ლათინური სიტყვაა და იგი რაიმეს დასაშვებ რაოდენობას, მიღებულ ნორმას ნიშნავს. იგი მიმართულია გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე ერთი ჯგუფის მონაწილეობის გასაზრდელად.

არსებობს კვოტების სხვადასხვა სახე:

- **ნებაყოფლობითიშიდა პარტიული კვოტები**
- **სავალდებულო საპარლამენტო კვოტები და სხვა**

კვოტები გამოიყენება , როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორში. კვოტები, როგორც წესი ყველაზე ხშირად გენდერული ნიშნით და ქალების გაძლიერებისათვის გამოიყენება. როდესაც ვეხებით კვოტების თემას აზრი ყოველთვის ორ ნაწილად იყოფა . მას ჰყავს როგორც მომხრეები ასევე მოწინააღმდეგეები, რომლებსაც სხვადასხვა არგუმენტები აქვთ.

კვოტირების შემოღების მოწინააღმდეგეებსსაკმაოდ მყარი არგუმენტებიაქვთ. მაგალითად ისინი მიიჩნევენ , რომ:

- კვოტირება ეწინააღმდეგება თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს და ამ შემთხვევაში ქალებს კაცებთან შედარებით უპირატესობა ენიჭებათ.
- გარდა ამისა, კვოტირება არადემოკრატიული პროცესია და ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს უფლება, თავად გადაწყვიტოს ვის აირჩევს.
- ასევე კვოტა არის კანდიდატების შერჩევის პროცესში ხელოვნური ჩარევა და ამ შემთხვევაში გენდერული კვოტირების შემოღება ნიშნავს იმას , რომ ქალებს თავად არ შესწევთ უნარი , დაიკავონ ღირსეული პოზიციები ამა თუ იმ საფეხურზე და ამისათვის მათ ხელოვნურად შექმნილი გზები სჭირდებათ.

აღნიშნულ არგუმენტებთან ერთად, მათ მოჰყავთ სხვა მრავალი არგუმენტი, რის გამოც ისინი ეწინააღმდეგებიან კვოტების შემოღებას.

ეხლა კი რაც შეეხება გენდერული კვოტირების მომხრეთა არგუმენტებს,

- ისინი მიიჩნევენ , რომ გენდერული კვოტირება საშუალებას აძლევს ქალებს, რომ მათ წინა პლანზე წარმოაჩინონ არა მხოლოდ ქალთა საკითხები , არამედ ის საკითხებიც , რომლებსაც კაცები მნიშვნელოვნად არ აღიქვამენ.
- ასევე ისინი თვლიან , რომ ქალები ისეთივე პროფესიონბალები არიან როგორც მამაკაცები და მათ სრული უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვაში , რადგანაც პოლიტიკური ცხოვრება საჭიროებს ქალების გამოცდილებას, რომელიც უფრო მრავალფეროვანს და კონკურენტუნარიანს ხდის მას.
- ასევე კვლევებით დასტურდება, რომ კვოტების შემოღება ამცირებს კორუფციას და შესაბამისად პოზიტიურად მოქმედებს კეთილდღეობაზე. კვლევები გვიჩვენებს , რომ პრაქტიკაში ქალი პოლიტიკოსები ნაკლებად კორუმპირებულები არიან ვიდრე კაცები.
- გენდერული კვოტირების მომხრეები ასევე აღნიშნავენ , რომ სწორედ კვოტირების შემოღების შემდეგ შეძლეს სკანდინავიის ქვეყნებმა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა.

დასკვნა

საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში თემა „პოლიტიკა-ადამიანური ხელოვნება" კომპლექსირუდ იქნა განხილული რამოდენიმე საკითხი, რომლებიც აღნიშნული თემით დაინტერესებულ ადამიანს მიაწვდის საჭირო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა არის ზოგადად პოლიტიკა. გაეცნობა პოლიტიკასა და მასში შემავალ ძირითად საკითხებს.

პოლიტიკა, როგორც უკვე თემაში არაერთგზის აღვნიშნეთ საკმაოთ საკამათო ცნებაა და მას ბევრი მნიშვნელობა აქვს. იგი ადამიანთა გაჩენისთანავე წარმოიშვა და იმ დროიდან მოყელებული დღემდე ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომაც აღნიშნული თემა მკითხველს დაეხმარება უფრო სიღრმისეულად შეისწავლოს პოლიტიკის ცნება. რადგანაც პოლიტიკა არა მარტო პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეების საქმეა არამედ თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურობას წარმოადგენს. გერმანიის კანცლერი ბისმარკი აღნიშნავდა „პოლიტიკა არ არის მეცნიერება ეს ხელოვნებაა". მართლაც პოლიტიკა უმთავრესად საზოგადოებრივი მოღვაწეობაა. ის ყოველთვის დიალოგია და არა მონოლოგი.

ყოველგვარი ცდა უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ცნება „პოლიტიკა" დაკავშირებულია რამოდენი პრობლემასთან, ერთ ერთი მთავარი პრობლემა ეს არის საზოგადოებაში ასოციაციების სიმრავლე , მაშირ როდესაც ტერმინები ფიზიკა, ქიმია ეკონომიკა და ა.შ. საზოგადოებაში მიიჩნევა, როგორც სამეცნიერო დისციპლინები პოლიტიკა საზოგადოებაში სრულიად განსხვავებულ ასოციაციებს აღძრავს და ხშირად იგი ნეგატიურ ჭრილშიც კია მოთავსებული, უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე, რომელიც პოლიტიკური მეცნიერების მამამთავრად ითვლება თვლიდა, რომ პოლიტიკური მეცნიერება უბრალოდ პოლიტიკურ ძიებას ნიშნავდა, ამიტომ ამ დარგის მეცნიერი მისთვის იყო ის ვინც სისტემატიური ძიების გზით პოლიტიკის ჭეშმარიტი ბუნების ამოხსნას ცდილობს. "ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური ცხოველია" აღნიშნავდა არისტოტელე ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნეში, იგი ვარაუდობდა , რომ ადამიანი თავისი ბუნებით მიდრეკილია პოლიტიკური საქმიანობისადმი.

პოლიტიკაში ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესი. თუ როგორ ან რა გზით მიღეება ისინი. ზოგადად პოლიტიკა განიხილება, როგორც კონფლიქტების მოგვარების საშუალება . კომპრომისების, მოლაპარაკებებისა და სხვა საშუალებების გზით, რომელიც გამორიცხავენ ძალის გამოყენებას. სწორედ ეს კონცეფცია აქვთ მხედველობაში , როცა ამბობენ "პოლიტიკა არის შესაძლებლობების ხელოვნება". პოლიტიკა არ არის მარტივი საქმე. ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს დაპირისპირებული მიზნების დიდი სიმრავლე. ასევე

მათგან გამომდინარე დაპირისპირებული ინტერესები. როდესაც საქმე გვაქვს პოლიტიკასთან აუცილებლად ვაწყდებით კონფლიქტებს. როდესაც ლაპარაკია პრობლემის "პოლიტიკური" გზით გადაწყვეტაზე.. მასში აუცილებლად მოაზრება სამშვიდობო მოლაპარაკება "ძალოვან" ან "სამხედრო" გადაწყვეტილებების წინააღმდეგ.

ნაშრომში გარდა პოლიტიკური ცნებისა ასევე განხილულია სხვა მრავალი საკითხი, რომელიც დაგეხმარებათ თემის უფრო სიღრმისეულ გაანალიზებაში. ერთ ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენს პოლიტიკური სისტემა და მისი არსი. რა არის ზოგადად პოლიტიკური სისტემა და როგორ ფუნქციონირებს იგი. ერთ ერთი თავი ასევე დათმობილი აქვს მედიასა და მედიის უდიდეს როლს პოლიტიკაში. იგი დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ დღის წესრიგზე და ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში. მედია, რომელიც პოლიტიკური პროცესების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს, განსაკუთრებულ ძალას იძენს მაშინ, როდესაც იგი ერწყმის პოლიტიკურ სფეროს. ხშირად პოლიტიკური მოღვაწეები თვლიან , რომ ვინც ახორციელებს კონტროლს მედიაზე ის აკონტროლებს მთელ ქვეყანას. დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკურ დღის წესრიგზე და ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკა ეს არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის ხელოვნება. საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობა და მასთან მიმართული საქმიანობა რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოებს, ხალხებს, ერებს, სოციალურ ჯგუფებს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვებერი მ. „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა.“
2. არისტოტელე, ,,პოლიტიკა ” ძვ. ბერძნ. თარგმნა, შესავალი,წერილი და განმარტებები დაურთო თამარ კუკავამ თბ., 1995წ , გამომცემლობა „პირველი სტამბა“", ნაწილი 1.
3. მაკიაველი ნ.,, მთავარი” ბაკურ სულაკაური გამომცემლობა თბ. 2010 წ
4. მაგშტადტი თომას შ. „გავიგოთ პოლიტიკა“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი-2010 წელი.
5. მაცაბერიძე მ. „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019
6. პაპასკირი ვ. „სახელმწიფო, პოლიტიკა და მასმედია“. ტექნიკური უნივერსიტეტი.
7. რადიო თავისუფლება „პოლიტიკური კულტურა, როგორც ეროვნული დეფიციტი“.

ელ. მისამართი : https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-tamar-meladze-politikuri-kultura/28124002.html

8. პიერ დე სენარკლენი იოან არიფენი „საერთაშორისო პოლიტიკა. თანამედროვე მეთოდები და ამოცანები“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი-2014 წელი. მეხუთე გამოცემა.
9. ხომერიკი ლ. „გენდერი და პოლიტიკა" . . წიგნი გამოცემულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის Center for Social Sciences- ის მიერ. ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური მხარდაჭერით. თბილისი
10. მარგარეტ ტეტჩერის ბიოგრაფიიდან

ელ. მისამართი : http://genia.ge/?p=6999#more-6999

11. ბალარჯიშვილი ი. „ახალი პოლიტიკური ეკონომია“. თბილისი 2017
12. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC- “ქალები და პოლიტიკური წარმომადგენლობა“ თბილისი-2014
13. მარქსიზმი / ელ. მისამართი : https://sites.google.com/site/geopolitologia/home/politika